№ 2655
შაბათი,
30 ოქტომბერი

ცნ[illegible]ის ფურცელი

№ 2655
შაბათი,
30 ოქტომბერი

აზეთი ღირს: წლიწად[illegible] —6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადები: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანკის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და [illegible] განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896–1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 373.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.
ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი" მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი. ║ საზღვარ გარედ: ერთის წლით 9 მანეთი.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.
ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე" მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან. ║ საზღვარ გარედ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1მ. 20 კ.
ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"
უფასოდ გაეგზავნება
მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)
როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის
„დონ-კიხოტი"
დორეს სურათებით.
ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრედვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.
გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.
რედაქციის კანტორის ადრესი: ვანკის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

ქვრივი ალექსანდრა სვიმონის ასული ალავიძისა, აზნაურნი სიმონ, ივანე და ალექსანდრე ნოშრევანის ძენი, სალომე ნოშრევანის ასული და მარო ნოშრევანის ასული გვერდწითლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ, ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის მეუღლის, ხოლო უკანასკნელნი—ბიძის კოლეჟსკი სოვეტნიკის

ნიკო ოქროპირის ძის ალავიძისას,

და უმორჩილესად სთხოვენ მობრძანდნენ 30 ნოემბერს შაბათს, 12 საათზედ, სოფ. [illegible]ბანოს და ანუგეშონ ღრმა მწუხარებასა შიგა მყოფი ქრისტიანენი (1—ნ.—1)

მღვდელი კონსტანტინე გიორგის ძე ახვლედიანი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძმისა თვისისა აზნაურის

ნესტორ გიორგის ძის ახვლედიანისას.

გამოსვენება და დაკრძალვა გარდაცვალებულის მოხდა 28 ოქტომბერს, სოფელ გურძემის ეკკლესიაზე სენაკის მაზრაში. (1—3960—1)

ქართული წარმოდგენა. „ტფილისის სობრანიე".
შაბათს, 30 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
I
პედაგოგები
კომედ. 3 მოქ., თხზ. ერნსტისა, თარგ. დ. ნახუცრიშვილისა.
II
დარისპანის გასაჭირი
სცენები 1 მოქ. თხზ. დ. კლდიაშვილისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
რეჟისორი ვ. აბაშიძე
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (3—უ—3)

ხაზინის თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
შაბათს, 30 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „M lle ფიფი" და „სევილიელი დალაქი"
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ანტონოვი, ტაულერი, ნიკიტსკაია, შიხუტსკაია, ხარიტონოვა; ბ-ნნი: ზაგდანოვიჩი, ბაჟენოვი, დონსკოი, სიკაჩინსკი, ობრაზცოვი, პოლუიანოვი, ხალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
31 ოქტ. ბენეფისი ანტონოვისა—„ლაკმე". გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
ა. ი. ბადარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. იულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
დ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
ლ. ი, კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მძ. ქალი ე. ქ. ოისხელიანი.—ქალისა და საზებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ვ. ა. ბილინი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. ზ. მონინი.—ქალისა, საზებით და ბავშვების და (შემ.აწმენდა ძიძების) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
პ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. მ. სოგოლდიმსძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. [illegible] 3 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ:
ა. მ. სოგოლდიმსძე.—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში [illegible] შერჩეულები მოარიგებათ. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible] ველიკოკნიაჟესკის ქუჩიდან-კი 34 Б. [illegible])
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათ. (თვ.—5.—23)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—12)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible]ის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. [illegible], № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—22)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
ვანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
28 ოქტომბერი

ჩიფუ, 28 ოქტომბერი („რეიტერი"). როგორც ჩინელნი ამბობენ, იტშანმა დიდი იაბრკოლება გაუწია იაპონელებს. იაპონელებმა ბევრი მსხვერპლი შესწირეს ამ ფორტს. 23 და 24 ოქტომბერს იაპონელებმა ცხარე შტურმი მიიტანეს, მაგრამ უკუ-გდებულ იქმნენ. მეორე შტურმის დროს პალიჯუანიდან გასროლილი ყუმბარა გორაკებს გადააფრინდა, იტშანს მოხვდა და დააქცია ფუგასების საკანტროლო სადგური. ამას თან ნაღმების აფეთქება მოჰყვა. ნაღმებ ჩაწყობილ ადგილის მახლობლად რუსის თხრილები იყო. აფეთქების დროს რუსებმა დაჰკარგეს 600—700 კაცი. იაპონელებს ზარალი არ მოსვლიათ, რადგან ნაღმიან ადგილთან ჯერ არ იყვნენ მისულნი. ამ ორი დღის განმავლობაში იაპონელები უმთავრესად იტშანის ასაღებად იბრძოდნენ. იმათ ისეთი ადგილების გავლა უხდებოდათ, რომელსაც რუსები ტყვიის მტყორცნელებს ესროდნენ. ამიტომ იაპონელთა რაზმები თან-და-თან თხელდებოდა. იაპონელები გზაზე ანადგურებდნენ მავთულების ღობეებს. ერთი სალდათი, რომელსაც ყუმბარამ ფეხი მოაგდებინა, კბილებითა სწყვდა მავთულებს. იტშანი ასე იმიტომ გამაგრდა, რომ მდებარეობა აქვს მოხერხებული; ამის წყალობით იაპონელები ზარბაზნებს ვერ უშენდნენ სიმაგრეს და თხრილებამდე ვერ მიდიოდნენ.

დალზიაკუ (სააგ. საკუთარ კორესპონდენტისაგან). 27 ოქტომბერს მთელ დღეს მარჯვენა ფრთაზე ზარბაზნების გრიალი იყო. ღამე ჩვენმა საალყო ზარბაზნებმა ყუმბარები დაუშინეს სოფლებს ლამატუნს, იუდაიმის, ხოუტხაის და ცუდიაძის, რომელნიც იაპონელებს ეჭირათ. მალე ჩუმდებოდნენ იაპონელთა ის ბატარეები, რომელთაც ჩვენი არტილერია მიაგნებდა ხოლმე.

მუკდენი, 28 ოქტომბერი (საკუთარ. კორესპ.). ნაშუადღევის 2 საათზე მოვიდა ადმირალი სკრიდლოვი. ადმირალს დახვდნენ გენერალი ლინევიჩი და საპატიო ყარაული. 4 საათზე ადმირალი გუძიაძში წავიდა მთავარ-სარდალთან. როგორც ისმის, ადმირალი ჯარში სამ დღეს დარჩება.

29 ოქტომბერი

პეტერბურგი. საღამოს 6 საათზე მოვიდა შორეულ აღმოსავლეთიდან მისი უდიდებულესობის ნამესტნიკი. მიეგებნენ: მრავალი ხალხი, წარჩინებული მოხელეები და კარის მისსია. ხალხი აღტაცებულის „ურა"-ს ძახილით დაუხვდა. ნამესტნიკი სადგურიდან „ევროპის სასტუმროში" წავიდა.

ლონდონი („რეიტერი"). ლაპარაკობენ რუზველტის წინადადებაზე ჰააგის მეორე კონფერენციის მოწვევის შესახებ. ლანსდოუნმა გამოაცხადა, განვიხილავთ წინადადებას და გამოვარკვევთ, სად უფრო მოსახერხებელი იქნება კონფერენციის მოწვევა. დაუყოვნებლივ ვაუწყეთ, რომ მზადა ვართ მივიღოთ მონაწილეობა კონფერენციაში და ვუსურვეთ პრეზიდენტს იმისგან დაწყებული სასარგებლო საქმე კეთილად დაგვირგვინდეს.

ტოკიო, 28 ოქტომბერი („რეიტერი"). მესამე არმიიდან იუწყებიან, რომ პორტ-არტურის ჩრდილოეთ ნაწილში რუსების საწყობს იაპონელებმა დიდი საზღვაო ზარბაზნები დაუშინეს და დასწვეს.—მანჯურიაში მყოფ იაპონიის არმიის მთავარ-სადგომიდან იუწყებიან, რომ 25 ოქტომბერს ღამე რუსების ორი როტა თავს დაესხა იაპონელთა სადარაჯო რაზმებს, მაგრამ უკუქცეულ იქნა.

სევასტოპოლი. გრადონაჩალნიკის მეუღლემ და მოქალაქეებმა გაჰგზავნეს ასი ყუთი თბილი ტანსაცმელი, ჩაი და შაქარი ხელმწიფე დედოფლის საწყობში შორეულ აღმოსავლეთში მებრძოლთათვის.

კალუგა. მანდილოსანთა კომიტეტი შეუდგა თბილი ტანსაცმელის დამზადებას შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად.

არიოლი. ეპისკოპოსის თაოსნობით, ეპარქიის ხარჯით, იხსნება სამკურნალო 250 დაჭრილი და ავადმყოფ სალდათისთვის.

პეტერბურგი. გამოვიდა გენერალის ბოგდანოვიჩის ახალი სურათი: „სალდათის ვასილი რიაბოვის გმირული ღვაწლი".

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
28 ოქტომბერი

შანჰაი, 27 ოქტომბერი. (პეტერბურგის სააგენტოს საკუთარ კორესპონდენტისაგან). იაპონიის ბიუჯეტის პროექტით, წლიწადში ხარჯი ომზე ნაანგარიშევია 700 მილიონი. 500 მილიონს სესხად აიღებენ, დანარჩენს საგანგებო გადასახადებით მოჰკრებავენ. იაპონიის პრესსა თხოულობს, პორტ-არტური დაუყოვნებლივ აღებულ იქმნას. იაპონელები დიდ საგონებელში ჩავარდნენ. ყოველ დღე გემები მოდიან დაჭრილებითა და ავადმყოფებით. ამ ჟამად საავადმყოფოებში 45,000 კაცია. კორეიაში იაპონელები ძალიან სასტიკად იქცევიან. სამი კორეელი, რომელთაც სეულის მახლობლად რკინის გზის გაფუჭება განეზრახათ, ჯვარს გააკრეს. ამის შემდეგ თოფების სროლა დაუწყეს, გადაიღეს სურათები. ერთ კორეელს, რომელსაც შვიდი ტყვია მოხვედროდა, მაგრამ არ მომკვდარიყო, ბოლო მოუღო ჟანდარმმა. სეულში ჰყიდდნენ ფოტოგრაფიულ სურათებს, ვიდრე იაპონიის ელჩმა არ აკრძალა. ამ სურათებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს უცხოელებზე და ელჩს შეეშინდა. რამდენიმე კაცი იაპონელებმა აწამეს უცხოელთა თვალ წინ სეულ-ფუზანის გზაზე. საჭიროა ეს ამბები უფრო გავრცელდეს, რომ ყველამ გაიგოს. უარს ვერა ჰყოფენ. იაპონელებმა თავის დროზე გამოაცხადეს, რომ დიდი ნადავლი დაგვრჩა ლიაოიანშიო. ეს ნადავლი გამოდგა გაფუჭებული ღერძი ლაფეტისა, ორი თვალი ლაფეტისა, რამდენიმე გაფუჭებული თოფი, ხმლები და მუნდირები.

ჩანსიამუტუნი, 28 ოქტომბერი. ჯარში ცვლილება არ მომხდარა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთზე ახლო არიან. როგორც რუსის, ისე იაპონიის ჯარი ადგილებს ამაგრებს. ყოველ დღე ზარბაზნებისა და თოფების სროლაა. ჩვენი რაზმები ყოველ დღე დასაზვერად მიდიან და მოაქვთ ნამდვილი ცნობები იაპონიის ჯარის რაოდენობის და მდებარეობის შესახებ. თბილი, თითქმის ზაფხულის ამინდი დადგა. უკანასკნელ ბრძოლების დროს დაჭრილნი უკანვე ბრუნდებიან ჯარში.

ჩიფუ, 28 ოქტომბერი. რუსები ექვს უმთავრესს სიმაგრეებიდან ყუმბარებს უშენენ იაპონელებს, რომელნიც სცდილობენ რუსის ტრანშეებისა, მჩხვლეტავ მავთულებისა და სხვა სიმაგრეების განადგურებას პორტ-არტურის გარეშემო. იაპონიის ჯარის უმთავრესი ნაწილი შუიტინის ჩრდილოეთითაა. რუსები საბოლოოდ გაიხიზნენ ქალაქიდან. ის ხმა, ვითომ იაპონელებმა ქალაქი აიღესო, მართალი არ არის. არ არის სამყოფი სადგომი დაჭრილთათვის. იაპონიის ფლოტს უჭირს რუსის სიმაგრეების წინააღმდეგ ყუმბარების სროლა, რადგან ეშინიან, ნაღმს არ წააწყდეთ. კვლავინდებურად ცხარე ბრძოლაა. ამ ჟამად იაპონელები ტაიენკოუდან ნახევარ მილის მანძილზე არიან. რუსის მეციხოვნე ჯარის დიდ ნაწილს ლიაოტეშანის სიმაგრეები უჭირავს.

პეტერბურგი, 28 ოქტომბერი. იმ სამსახურს გარედ მყოფ აფიცრებს, რომელნიც ციმბირის ოპოლჩენიის დრუჟინებში დაინიშნენ, ომის დროს პენსიები არ მოესპობათ.

პეტერბურგი, 28 ოქტომბერი. ლონდონში მყოფმა რუსეთის ელჩმა გამოუცხადა ინგლისის მთავრობას, რომ რუსეთის მთავრობამ მიიღო ინგლისის მიერ წარმოდგენილი შეთანხმების საფუძველნი საერთაშორისო გამომძიებელ კომისიის დანიშვნისა და ამ კომისიის მოქმედების პირობათა შესახებ. ფიქრობენ, რომ ხელშეკრულობას ამ მოკლე ხანში მოაწერენ ხელს. ხელ-შეკრულობის ჯერ-ჯერობით გამოურკვეველი მუხლები, ალბად, დაუყოვნებლივ გამოირკვევა ორივე მთავრობის შეთანხმებით. კომისიაში ხუთი წევრი იქნება, ე. ი. რუსეთისა და ინგლისის ფლოტის ორი უმაღლესი ხარისხის აფიცერი, საფრანგეთისა და შეერთებულ შტატების ფლოტის ორი უმაღლესი ხარისხის აფიცერი და მეხუთე წევრი—ჩამოთვლილ ოთხ წევრთა შეთანხმებით არჩეული. თუ ვერ შეთანხმდნენ, მეხუთე წევრის არჩევას მიანდობენ ერთ რომელსამე ხელმწიფეს. კომისია გამოარკვევს ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ შემთხვევას და ამის შესახებ მოხსენებას წარმოადგენს. განსაკუთრებით განიხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ ვის უნდა მოეთხოვოს პასუხის გება და რამდენად ედებათ ბრალი პასუხის გებაში მიცემულთ. კომისია დაადგენს, თუ რაგვარ წესრიგით უნდა აწარმოოს საქმე. მონაწილე სახელმწიფოთ დაევალებათ გასწიონ საერთო ხარჯი და შეღავათი მისცენ კომისიის მინდობილების ასასრულებლად. კომისია ამ მოკლე ხანში პარიზში შეიკრიბება. შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ კომისია თვითეულ სახელმწიფოს ანგარიშს წარუდგენს.

ლონდონი, 28 ოქტომბერი. იაპონიის სათადარიგო ჯარის კაცთა გაწვევა დაბრკოლდა. საკმაო ტანისამოსი არა აქვთ, კარგი ცხენები არა ჰყავთ. საშუალებათა აღმოსაჩენად დაარსებულია საბჭო გენერალის ტერაუჩის თავმჯდომარეობით.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

პორტ არტური. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. გენ. ნოგის არმიის მოქმედებას იხილავს 17 ოქტომბრამდე. ბ. ს. კ. სწერს: „პირველად გენ. ნოგი პორტ-არტურის ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს ატანდა ძალას; აქ იაპონელებმა სეკტემბრის დამდეგს კარგად გაიმარჯვეს: ერლუნგშანისა და ვანგტაის ფორტების წინ, წყლის მილის ახლო კურო პატკინისა, ან წყლის მილის რედუტი და იქვე ახლო „ტაძრის" რედუტი აიღეს. ამ რედუტების აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა იმისა რომ წყლის მილი ჩაიგდეს ხელში, იაპონელები ციხის უმთავრეს ფორტების შუა შეიჭრნენ და ერლუნგშანგისა და ვანგტაის ფორტს შუა თითქმის ორი ვერსი სიგძე ადგილი დაიჭირეს, ციხის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილი ერთმანეთისაგან განაცალკევეს. ამ ნაწილების შუა მისვლა-მოსვლა და ამბის მიტან-მოტანა მიწის ქვეშ გაყვანილ ხვრელებითა და ბუხტაში მოსიარულე ორთქლის ნავებით თულა შეიძლებოდა. ეგაა იაპონელებმა ეს ახლად დაჭერილი ადგილი ვერ გამოიყენეს შტურმისათვის, ცალკე იმიტომ, რომ ფორტებს შუა ამ ადგილას მიწაში ნაღმები იყო ჩაწყობილი, და უფრო-კი იმ მიზეზით, რომ იაპონელებს ორსავე გვერდიდან ერლუნგშანისა და ვანგტაის ფორტები უშენდნენ ზარბაზანს და წინაც მწყრის გორაზე ძლიერი ბატარეები იდგა. 24 სეკტემბრიდან გენ. ნოგის არმიას ახალი მაშველი ჯარი მოუვიდა და. როგორც გენ. სტესელი იუწყებოდა, იაპონელებმა 11 დიუიმიანი მორტირები დაუშინეს ქალაქსა და ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფორტებს. ამ ცნობიდან სჩანს, რომ აგვისტოს შემდეგ გენ. ნოგის ჩრდილოეთ-დასავლეთის ფორტების ნაცვლად, ჩრდილოეთ-დასავლეთ ფორტებისათვის მიუქცევია ყურადღება. ცხადია, აგვისტოში გენ. ნოგის მხოლოდ დემონსტრაციის მოსახდენად მიჰქონდა იერიში ანცზეშანისა და იშანის ფორტებზე, ამ იერიშით მხოლოდ რუსის ჯარს ატყუებდა და ნამდვილად-კი მედგარ იერიშის მისატანად აღმოსავლეთ მხარეს ემზადებოდა. მართლაც და, ჩრდილოეთ-დასავლეთ ფორტებზე იერიშის მიტანა და გინდ აღება იმდენ სარგებლობას ვერ მოუტანდა. თუმცა „სტოლის გორები", სადაც ჩრდილოეთ-დასავლეთი ფორტები მდებარეობენ, ისეთი მიუვალი

და ფრიალო არაა, როგორც ვეშაპის ქედი, სადაც აღმოსავლეთის ფორტებია გამართული, მაგრამ სამაგიეროდ ციხის ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეს რუსებს ორი რიგი ფორტი და ბატარეია აქვთ გამართული, ასე რომ მარტო ანცზეშანისა და იშანის აღება გენ. სტესელს ციხის დასავლეთ მხარეზე ხელს არ აალებინებდა. ამას გარდა, გინდ იაპონელებს ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეს მეორე რიგი ფორტი და ბატარეაც აეღოთ, აქ მაინც ვერ გამაგრდებოდნენ, რადგან მგლის გორისა და მწყრის გორის („პერეპელინაია გორა") თითქმის მიუვალი ფორტები მაღლიდან დასცქერიან ჩრდილოეთ-დასავლეთ ფორტებს. დასასრულ, გინდ იაპონელები გამაგრებულიყვნენ კიდევაც ჩრდილოეთ-დასავლეთის ფორტებში, პორტ-არტური კიდევ დიდხანს გაუმაგრდებოდათ, რადგან დასავლეთიდან ვეფხვის კუდი და მწყრის გორა აფარია, ამიტომ წინადვე სჩანდა, რომ გენ. ნოგი უმთავრესს შტურმს სწორედ ციხის აღმოსავლეთ ფორტებზე მიიტანდა. აკი ასეც მოიქცნენ იაპონელები. 1 ოქტომბრამდე იაპონელები ზარბაზნებით სოფ. უძიაფანის სამხრეთით მდებარე ფორტს, ესე იგი სუნშიშანის ფორტს მიუახლოვდნენ, ზარბაზანი დაუშინეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფორტებს და 3 ოქტომბერს გენ. ნოგის ცენტრი ("შუა ჯარი) სოფ. პალიჩუანიდან იერიშით გაემართა ერლუნგშანისა და სუნშიშანის ფორტებისაკენ. იაპონიის ქვეითა ჯარი რომ იერიშით წავიდა, ამავე დროს საველე არტილერიამ, იქნება ერთმა ბრიგადამ (36 ზარბაზანმა) ყუმბარადაუშინა რუსის პოზიციებს, ეგაა საღამოს 7 საათზე რუსებმა ზარბაზნისა და თოფის სროლით იაპონელები უკუ აგდეს და ისევ სოფ. პალიჩუანისაკენ დაახევინეს. ათის დღის შემდეგ გენ. ნოგის იაპონიიდან მაშველი ჯარი (15 ათასი კაცი), მძიმე არტილერია და 12 დიუიმიანი საალყე ზარბაზნები მოუვიდა გენ. სამაგიტას უფროსობით; რომ იაპონილებს იმ დროს მძიმე არტილერია მოუვიდათ, იქიდან სჩანს, რომ 14 და 16 ოქტომბერს ერთბაშათ ყველა სიმაგრეს დაუშინეს ზარბაზნები: დასავლეთ ფორტებს—ლუნშუშანსა, ანცზეშანს, იშანს და იცზიშანს, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფორტებს—ერლუნგშანსა და სუნშიშანს, აღმოსავლეთის ფორტებს—კიკვანშანს და ზღვის პირ ფორტებს მწყრის გორასა და ოქროს გორას. მაშასადამე, იაპონელებს არა თუ მარტო ჩრდილოეთ მხარეს შუშიინთან, დასავლეთ მხარეს მტრედის ბუხტასთანა და აღმოსავლეთ მხარეს დაგუშანის გორაზედაც დაუდგამთ მძიმე ზარბაზნები. 13 ოქტომბერს იაპონელებმა ერლუნგშანისა და სუნშიშანის ჩრდილოეთ ფერდობებზე ნგრები დაიჭირეს და პალიჩუანის სამხრეთი ნაწილიც უკან დაიბრუნეს. ამის შემდეგ იაპონელებმა გვირაბი გათხარეს ფორტებამდე. 15 ოქტომბერს ღამით რუსები ერლუნგშანსა და სუნშუშანის ფორტებიდან გავიდნენ და იერიში მიიტანეს, უნდოდათ ხელი შეეშალათ იაპონელებისათვის და გვირაბის გაყვანაზე ხელი აეღებინებინათ. სუნშუშანიდან გამოსულმა რაზმმა იაპონელებს ხელი აალებინა მუშაობაზე და გვირაბი და რამდენიმე ზარბაზანი მიატოვებინა, მაგრამ იაპონელებმა მეორე დღეს ნაშუადღევის 2 საათზე ისევ უკან დაიბრუნეს გვირაბიცა და ზარბაზნებიც. ეტყობა, რუსებმა გააფუჭეს ეს გვირაბი, რადგან 16 ოქტომბერს საღამოს იაპონელებმა მხოლოდ ერლუნგშანისაკენ გაყვანილი გვირაბი გასთხარეს ფორტის კედლამდე, მაშინვე ნაღმი აიფეთქეს და ფორტის ნაპირა კედელი დიდ-მანძილზე გაანგრიეს. თუ „რეიტერის საანგენტო"-ს დეპეშას დავუჯერებთ, იაპონელებმა 17 ოქტომბერს თითონ ერლუნგშანის ფორტიც აიღეს".

„ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: ყველაფრიდან სჩანს, რომ იაპონელებს ეხლა კი ნამდვილი შტურმი მიუტანიათ პორტ-არტურზე, თორემ წინად მხოლოდ წინა სიმაგრეებზე მიჰქონდათ იერიში. 13 ოქტომბერს აქეთ იაპონელები უმთავრეს ფორტების აღებას შეუდგნენ. ყველა ფორტს მაღალი მიწის გალავანი და ღრმა თხრილი აქვს შემოვლებული და ათასნაირადაა გამაგრებული. მკვიდრად აშენებულ და გამაგრებულ ფორტის აღება მეტად ძნელი საქმეა, სამაგიეროდ ისეთ ფორტის აღებას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უბრალო სიმაგრის აღებას. პორტ-არტურის ციხე ორ ნაწილად გაიყოფა: აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილი. ციხის აღმოსავლეთი ნაწილი ძლიერიცაა დასავლეთისაზე და მეტი მნიშვნელობაც აქვს, არსენალი და დოკებიც აღმოსავლეთ ნაწილშია გამართული, რუსის ესკადრაც (5 ჯავშნიანი გემი და 2 კრეისერი) იქა დგას. ცხადია, რუსის მეციხოვნე ჯარი ძლიერ გამოიდებს თავს ციხის აღმოსავლეთ ნაწილის დასაცველად. ამბობენ, ბოლოს რუსის ჯარი ლიაოტეშანს შეეფარებაო, მაგრამ არა მგონია, რომ ეს სწორე აზრი იყოს, რადგან ლიაოტეშანი მოშორებულია ქალაქზე. უფრო პკუას ახლო იქნება, ვიფიქროთ, რომ რუსის ჯარი ციხის აღმოსავლეთ ნაწილში (ოქროს გორა, მწყრის გორა და სხვ.) გამაგრდება.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება: იაპონელების ცნობებიდან სჩანს, რომ პორტ-არტური დიდ- [illegible] უნდა იყოს [illegible] გერმანული გაზეთები ჰფიქრობენ, რუსის მეციხოვნე ჯარი დაცოტავდებოდა და იაპონელებთან ბრძოლას ვეღარ შეიძლებსო, მაგრამ „ლოკალ ანცაიგერ"-ის სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, გენ. სტესელს 22 ათასი კაცი ეყოლება ამ ჟამადაო. („რ.").

ტოკიოდან ატყობინებენ „დეილი მეილ"-ს: ოფიციალურ მოხსენებაში ეწერა: იაპონელები ბეჯითად უშენენ ზარბაზნებს რუსის სამხედრო გემებსაო. 1 ოქტომბრიდან 7-მდე „პობედა"-ს ერთი ყუმბარა მოჰხვედრია, ოთხი „რეტვიზან"-ს, ოთხი „პერესვეტ"-ს და ხუთი „პოლტავა"-ს. „პოლტავა"-სა, „პერესვეტ"-ს და „რეტვიზან"-ს საზღვაო ზარბაზნის ყუმბარაც მოჰხვდა. 6 ოქტომბერს დილით „პოლტავა"-ს მატროსები ჯონკებით „რეტვიზან"-ზე გადავიდნენ. 7 ოქტომბერს „პოლტავა" აღმოსავლეთ ნავთსადგურისაკენ გაატარეს ბუქსირით. („რ. ლ.").

ბელგიურ გაზ. „ინდეპ. ბელჟ"-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: რუსის ჯავშნიანი გემები „პერესვეტ"-ი, „პობედა" და „პოლტავა" რამდენჯერმე დააზიანა იაპონელების ყუმბარამაო. „პერესვეტ"-ზე ყუმბარებმა ცეცხლი გააჩინეს. სხვა გემსაც წაეკიდა ცეცხლი, ეგაა ამ გემის სახელი ვერ გაიგეს. 12 ოქტომბერს პორტ-არტურის ნავთ-სადგურში ერთი რუსის გემი ჩაიძირა, ამ გემს 1000 ტონა წყალ-წყვა ექნებოდა. („ნ. დ.").

გერმანულ გაზ. „დეიჩე ვარტე"-ს კორესპონდენტი სწერს: იაპონიის მეოთხე არმიის უფროსი გენ. ნოგი მეტად გულადი, უშიშარი და სულგრძელი კაცია. სალდათებიც ძლიერ უყვარს. ბრძოლის დროს მუდამ წინა დგას სალდათებთან. ამას წინად ერთ დაჭრილ სალდათს თავის ხელით შეუხვია იარა. 22 აგვისტოს გენ. ნოგი მაღალ ადგილას ბატარეასთან იდგა, რუსის ჯარის მოძრაობას ათვალიერებდა და ლეიტენანტ იამაშინას რუსის არტილერიის მოქმედებაზე ელაპარაკებოდა. „ურიგო არ იქნება, რუსის ყუმბარის ნატეხი შევინახოთ სახსოვრადაო", უთხრა ხუმრობით გენერალმა ლეიტენანტს და ყუმბარის ნატეხების მოსაკრებად წავიდა. სალდათებს და ხალხსაც ძლიერ უყვართ გენ. ნოგი.

დიდ ოკეანეს მეორე ესკადრა. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი მ. ვ. სწერს: „23 ოქტომბერს ადმ. როჟესტვენსკის ჯავშნიანი გემები ტანჟერიდან აფრიკის ზღვით შორეულ აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ. ჯავშნიან გემების რაზმი ადმ. როჟესტვენსკის უფროსობით ვიგოდან 19 ოქტომბერს გავიდა, 48 საათში [illegible] საათ[illegible] ტანჟერამდე 24[illegible] [illegible]ლის გავლას [illegible] და 23 დღეს მოუნდა, ასე რომ დღე-ღამეს 105 მილს გადიოდა. ეხლა დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დიდ ოკეანის მეორე ესკადრა მუდამ ამ სისწრაფით ივლის; გინდ ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებში უფრო სწრაფადაც იაროს, მაგალითად საათში 10 მილიც გაიაროს, სამაგიეროდ ამ ოკეანეებში დიდი ქარიშხალი და ღელვა იცის და, რასაკვირველია, ეს ღელვა ხშირად შეაყენებს რუსის ესკადრას. ამას გარდა, ეხლა გამოირკვა, რომ ესკადრა ქვა-ნახშირს გაშლილ ზღვაშიკი არა, ნავთ სადგურებსა და ბუხტებში დაუდებს. რუსის გემებმა ჯერ ხუთჯერ შეიარეს ნავთ-სადგურებში, ჯავშნიანმა გემებმაც სამჯერ დაუდეს ქვა-ნახშირი (ალბეკის ბუხტასა, ვიგოსა და ტანჟერში). ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის ნახევარი ტანჟერიდან აფრიკის გარშემო წავიდა და ვლადივოსტოკამდე 13,700 მილი უნდა გაიაროს; დღე-ღამეში რომ 105 მილი იაროს, ვლადივოსტოკს ადმირალი როჟესტვენსკი 2 მარტს მივა. თუ ვინიცობაა, ადმ. როჟესტვენსკი იაპონიის გარს მოუვლის და ლაპერუზას სრუტისაკენ გაემართება (ეს გზა 1800 მილით გრძელია პირდაპირ გზაზე), მაშინ ესკადრა ვლადივოსტოკს 19 მარტზე ადრე ვერ ჩავა. მაგრამ იაპონიის ფლოტთან ბრძოლა ესკადრას იქნება ადრეც მოუხდეს, იქნება იაპონიის ფლოტი ადმ. როჟესტვენსკის კუნძულ ფორმაზასთანაც დაუხვდეს; ფორმაზასთან ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა დაახლოვებით 18 თებერვალს მივა...

ლიბავიდან ტანჟერამდე დიდ ოკეანის მეორე ესკადრამ შედარებით უზარალოდ იარა. 9 ნაღმიან გემიდან, მხოლოდ ერთი დაზიანდა იმდენად, რომ გემმა „ერმაკ"-მა ბუქსირით ისევ უკან ლიბავაში წაიყვანა. ცხადია, ეს ნაღმიანი გემი ისე ძლიერ დაზიანდა, რომ გზაში რომელსამე ნეიტრალურ პორტში შეუძლებელი იყო იმისი შეკეთება 24 საათის განმავლობაში, მეტი ხანი კი რომ დარჩენილიყო, იარაღი უნდა აეყარა, ისე, როგორც სხვა რუსის ნაღმიანმა გემებმა აჰყარეს შანხაისა და კიაოჩაოში. მაგრამ შეკეთების შემდეგ ამ ნაღმიან გემს შეუძლიან კრონშტადტში 4 დარჩენილ კრეისერს („ოლეგი", „ურალი", „რიონი" და „დნეპრი) შეუერთდეს. ეს რაზმი ეხლა 2,400 მილზე დაშორდა ესკადრას და რომ დაეწიოს, დღე-ღამეში 80 მილი მეტი უნდა იაროს. ადმ. როჟესტვენსკის ორი ახალი [illegible]იანი გემიც დაუზიანდა. „რეიტერის [illegible]ოს" დეპეშა იუწყებოდა, რომ რუ[illegible] [illegible]ვშნიან გემს ვიგოში ქვაბები შეუკე[illegible] [illegible] ამას გარდა, ყინულის მჭრელი „ე[illegible]მაკი" და სატრანსპორტო გემი „რუს" დაზიანდნენ გზაში. „ერმაკი" ჯერ კო[illegible]ჰაგენში შევიდა შესაკეთებლად და ეხლა [illegible] კილში მისულა, „რუს"-მა დანიის პორტ ფრედერიკს გავანში შეაკეთა დაზიანებული მაშინები. ლიბავიდან ტანჟერამდე, რამდენადაც ვიცით, სულ 5 გემი დაუზიანდა ესკადრას.

ტანჟერამდე ესკადრა სამ რაზმად მიდიოდა: წინკრეისერების რაზმი (კრეისერები „ავრორა", „ჟემჩუგი", „იზუმრუდი" და „სვეტლანა") მიდის კონტ-ადმირალ ენკვისტის უფროსობით, მერე კონტრ-ადმ. ფელკერზამის რაზმი (ჯავშნიანი გემები „ოსლიაბია", „ნავარინი". და „სისოია ველიკი" და კრეისერები „ადმირალ ნახიმოვი" და „დმიტრი დონსკოი") ყველაზე უკან 4 საესკადრო ჯავშნიანი გემი („კნიაზ სუვოროვი", „იმპერატორ ალექსანდრე III", „ორიოლი" და „ბოროდინო") თითონ ვიცე-ადმ. როჟესტვენსკის უფროსობით. იახტა „ალმაზი" და ნაღმიანი გემები პირველ რაზმს მისდევენ, სატრანსპორტო გემები-კი სამსავე რაზმს შუა იყვნენ დანაწილებულნი.

ახალი ამბავი

◆ საქართველოს საექსარხოსოს **სამრევლო სკოლების საოლქო საბჭომ** ამ სამოსწავლო წლიდან შემდეგ ადგილებში დახურა და დააარსა სამრევლო სკოლები: ბაქოს გუბერნიაში ბოჟი-პრომისლის სკოლა დახურა და იმის ნაცვლად დააარსა იმავე გუბერნიის „სოროკინის პრორვა"-ში. თელავის მაზრის სოფლებ შილდისა და ყვარელის წერა-კითხვის სკოლები დახურა და იმათ ნაცვლად დააარსა სკოლა ყაზახში (განჯის გუბ.); თიანეთის მაზრის ახიელის (პირიქით ხევსურეთში) წერა-კითხვის სკოლა დახურა და იმის ნაცვლად დააარსა სკობელევკაში (განჯის მაზრა); გორის მაზრის სოფ. ბრეთის სკოლა დახურა და იმის ნაცვლად დააარსა სოფ. გერიუსში (განჯის გუბ.); ახალციხის მაზრის სოფ. ქვათახევის სკოლა დახურა და იმის ნაცვლად დაარსა სოფ. ნიკოლაევკაში, (ტფილისის მაზრა); დახურა აგრეთვე ბერძნების სკოლა ყარსის ოლქში სოფ. აბულვართისა.

◆ ბორჩალოს მაზრაში ერთი თვე იქნება ავაზაკთა **ბრბო დათარეშობს** თურმე. ბრბოში 12 ავაზაკია. ხალხი იმდენად შე-

ფელეტონი

კიდევ ინტელიგენციაზე

ისეთ პატარა ხალხში, როგორიც ჩვენ ვართ, ჟურნალისტის ხელობას, ბევრ სხვა გვარ სიძნელეს გარდა, ერთი განსაკუთრებული საჭაპანწყვეტო გარემოება ახლავს, რომელიც არა იშვიათად აძნელებს მწერლის მუშაობას და აბრკოლებს მის ნაყოფიერ მოქმედებას. ეს გარემოება პირადი უკმაყოფილება, რომელსაც უხვად მეგაზეთეს მისი უმადური ხელობა... ჩვენ, ქართველები, რიცხვით ცოტა ვართ და ამიტომ პირადად ვიცნობთ ერთმანეთს, ვიცით ერთმანეთის კერძო ცხოვრება და ხშირად ასეთი თუ ისეთი იდუმალი დამოკიდებულებაც. და შეუძლებელია, ჟურნალისტი, რომელიც მიმდინარე ცხოვრების მოვლენათ აღნიშნავს, ღრმა გამოშვებით არ შეეხოს ისეთ კერძო ფაქტებს, რომლებიც ამა თუ იმ პირის ცხოვრებასა და მოქმედებას ჰხატავს. თუნდაც რომ მან სახელი და გვარი არ ახსენოს, პირადად არავის შეეხოს, მისი სიტყვები ვინმეს მაინც მოხვდება და მოუმკის მძულვარებასა და უკმაყოფილებას.

მე ხომ ყველგან ასეაო, იტყვით თქვენ. არა, სულ მთლად ასე არ გახლავთ. ერთი და იგივე არაა, მწერალი, რომელიც, თქვენი სახელის უხსენებლად, თქვენი ცხოვრებისა და მოქმედების ბნელ მხარეებს ჰკიცხავს და ჰკმობს, პირადად თქვენ გიცნობთ თუ არა. თუ თქვენ შორის ნაცნობობა არაა, თქვენ იცნობთ მის ნაწერში თავის თავს, მაგრამ დამწერის წინააღმდეგ გული არ გაგიბოროტდებათ, რადგან ჰფიქრობთ, რომ მისგან აღნიშნული ფაქტი პირადად მარტო თქვენ არ შეგეხებათ. სულ სხვაა, როცა თქვენ შორის ნაცნობობაა. ამ შემთხვევაში იშვიათი „დამნაშავე" შეჰხედავს საგანს ობიექტიურად და შესძლებს თავის გულისთქმის დამორჩილებას. მკითხველი აქ უფრო ხშირად ამ ნაირად ჰფიქრობს: „უთუოდ მე მდანძლავს, რადგან ეს ამბავი მან ჩემგან გაიგო, ჩემმა ნაცნობმა უთხრა ან ამა და ამ დაწესებულების ქაღალდებში წაიკითხა. ცხადია, მე ვარ მიზანში ამოღებული, მე ვარ გაბიაბრუებული, მე მთელის სასაცილოდ, მე მაკითხავს სახარებს, მე... და სხვა." ერთის სიტყვით, პირველსა და მეორე შემთხვევაში ნაწერით გამოწვეული გრძნობა და საზოგადოდ ფსიხოლოგიური ზედ მოქმედება დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან...

ეს ფიქრები გამოიწვია ჩემში სტუდენტების წუნამ და უკმაყოფილებამ. მეც, როგორც ყოველი ჩვენგანი, გვხვდები ცხოვრებაში სტუდენტებს და ვიცნობ პირადად ზოგიერთებს. თავის თავად საგულისხმოა, რომ იმ ფაქტებში, რომლებსაც მათ შესახებ აღვნიშნავ ხოლმე, ზოგი წაკითხული და განაგონია, მაგრამ ზოგიც ნანახი და პირადად გამოცდილი, რასაკვირველია, ზოგიერთი იცნობს ამ ფაქტებით თავის თავს, მაგრამ რა ვუყოთ? ეს ჩვენი ბრალი არაა,—ნუ მოგვცემენ თავის ცხოვრებითა და მოქმედებით ამგვარ ფაქტებს და ჩვენც აღარ აღვნიშნავთ, პირიქით, შევაქებთ კიდეც და მოვუვებით სასიამოვნო ქებას.

თორემ: ყველანი ასე ზარმაცები და მხატვე ყოფა-ქცევისა არა ვართო,—ვერაფერი თავის გამართლება და საბუთია. ჩვენ ვიცით, რომ ყოველ წრეში და, მაშასადამე, სტუდენტობაშიაც არის კარგი ელემენტიც და ცუდიც. ამის სათქმელად არც დაკვირვებაა საჭირო და არც ფაქტების კრება,—ზეპირადაც შეგვიძლია ვთქვათ, მხოლოდ საქმე ესაა, დიდ-ძალი უმრავლესობა ეხლანდელ სტუდენტებისა როგორია,—რა გონებრივის და ზნეობრივ ავლა-დიდების პატრონია. და, აი, როცა ამ საკითხს ვუკვირდებით და მის გასარკვევად კერძო ფაქტებს ვსინჯავთ,—ძალიან სამწუხარო სურათი გვიდგება თვალ-წინ. წინა წერილში რამდენიმე ასეთი კერძო ფაქტი მოვახსენეთ. მკითხველმა დაინახა, რომ—ჰაა, ვიტყვით ფრთხილად!—ჩვენს სტუდენტებში ბლომად არიან ისეთნი, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ აქვთ ასეთ საგანზე, როგორიც არის ზნეობა და ზნეობრივი მოვალეობა.

ამგვარ ფაქტებს, რომ გვინდოდეს, კიდევ ბევრს დავასახელებდით. აღვნიშნოთ ორიოდე სხვაც, რომელიც სტუდენტების მუშაობასა და მეცადინეობას გვიმტკიცებს. ამ ერთის თვის წინად ბ. მად. ბოლქვაძე იწერებოდა პეტერბურგიდან: „თითქმის არავინ ჩვენებური არ დადის სამუშაოდ საიმპერატორო წიგნთ-საცავში. თუ ვინმე შედგამს ფეხს შეცდომით და ჩაიგდებს ხელში ჩვენს რომელსამე გამოცემას, უკანასკნელს ათი წუთის შემდეგ თავს და ბოლოს ვერ უპოვი... მიკვირს, ნევის პროსპექტზე მოსჩანს ახალგაზრდობა როგორ უვლის გვერდს იქვე ამართულს მშვენიერ წიგნთ საცავს, სადაც ბევრი ისეთი რამ გამოცემულა (ქართულიც) არის, რომელთაც ჩვენში ვერ იპოვით". ეს ამბავი ვერაფერი ნიშანია სტუდენტობის გონებრივ ცნობის-მოყვარეობისა და სწავლა-განათლებისადმი მისწრაფებისა. ამ რამდენისამე თვის წინად „ცნ. ფურც."-ში დაბეჭდილი იყო ერთი წერილი, რომელშიაც ავტორი გვამცნევდა, რომ ჩვენს სტუდენტებში ხშირად ნახავთ ისეთებს, რომელთაც არც ერთ ქართველ მწერლის ნაწერი არ წაეკითხავთ. ბევრს „ვეფხის ტყაოსანიც"-კი არ აქვს წაკითხული.

ამ ზაფხულს პეტერბურგიდან მოდიოდა კავკასიისაკენ ერთი შავგვრემანი კაცი, რომელსაც ახარებული ამბავი შეემთხვა რკინის გზის ვაგონში. მის ვაგონში სამი თუ ოთხი მასავით შავგვრემანი ახალგაზდა კაცი იჯდა, სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი, რომელნიც ერთმანეთს ხან და ხან ქართულად ელაპარაკებოდნენ. მოსწყინდა ამ კაცს მარტო ჯდომა და სტუდენტებს რუსულად გამოელაპარაკა. ჰკითხა, რომელ უნივერსიტეტიდან იყვნენ.

— პეტერბურგისა,—მიუგეს მათ.

— საკვირველია,—მეც პეტერბურგში ვცხოვრობ და ერთმანეთს არ შევხვედრივართ.

— თქვენ გაჰყარი იქნებით,—უთხრა ერთმა ახალგაზდამ.

— არა, მეც უნივერსიტეტიდან ვარ.

— მაშ თქვენც სტუდენტი ხართ! სწორედ არ შევხვედრივართ ერთმანეთს. საკვირველია.

— არა... ჰო, მე დიდი ხნის სტუდენტი ვარ... თქვენ, ეტყობა, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე არა ხართ.

— ჩვენ იურისტები ვართ.

— და არას დროს არ შეგიხვდნიათ იმ განყოფილებაში, სადაც ქართულ ისტორიასა და სიტყვიერებაზე ლექციებს კითხულობენ?

— არა!.. ჰო, ვიცით, იქ მარრი კითხულობს რაღაცას და გვლანძღავს ქართველებს. ჩვენი მტერია.

— დასწრებიხართ, მოგისმენიათ, განახავთ?

— არ დავსწრებივართ, მაგრამ ვიცით-კი

— იცით!.. ეჰ, დალიეთ, უმაწვილებო ეს კახური ღვინო, რომელსაც თქვენ, უეჭველია, უკეთ იცნობთ, ვიდრე ფაკულტეტებსა და პროფესორებს. ამ სიტყვებზე მოხსნა ერთ კახურ ღვინით სავსე ბოთლს თავი და დაუსხა ახალგაზდებს. გადაჰკრეს და ამ დროს შეეკითხა ერთი სტუდენტი:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— პროფესორი მარრი!..

პატარა ამბავია, მაგრამ ძალიან დამახასიათებელი. მთელი წლების განმავლობაში სტუდენტი, სამშობლოს მოწყვეტილი, შორეულს უნივერსიტეტშია, სადაც ვითომ ემზადება, იძენს ცოდნას, რომ შემდეგ სამშობლოში დაბრუნდეს და თავის ხალხის სასარგებლოდ იღვაწოს მუშაობა და მოქმედება. ასე გვგონია ჩვენ; ნამდვილად-კი ჩვენებურ სტუდენტს იმდენა ცნობის-მოყვარეობაც-კი არა ჰქონია, ერთხელ მაინც შეიხედოს იქ, სადაც საქართველოსა და ქართულ მწერლობის შესახებ „რაღაცას" კითხულობენ, და, თუ არაფერს ისწავლის, თავის თვალით მაინც ნახოს ის პროფესორი, რომელიც მას მტრად ჰყავს წარმოდგენილი.

გაზეთის რედაქციაში, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ხან და ხან მოდის წერილები სტუდენტებისაგან. ნეტა განსაჯათ, თუ რას წარმოადგენს ამ წერილების უმრავლესობა. იშვიათია ისეთი ნაწერი, რომელიც აზრისა და ენის მხრით გვარიანად იყოს დაწერილი. უმრავლეს შემთხვევაში სტუდენტი არ სცნობს, როცა ქართულად სწერს, არც წერტილს, არც მძიმე ნიშანს, არც სიტყვებისა და წინადადებათა შეთანხმებას. ეს კიდევ ცოტაა: ამ ნაწერებში ნახავთ არა ერთსა და ორს იმგვარად დაწერილს, რომ აზრსაც კი ვერ გაიგებთ. და ეს კი ძალიან დამაფიქრებელი მოვლენა არის. ჩვენ არ გვიკვირს, რომ ქართველმა ახალგაზდამ, რომელსაც სკოლაში დედა-ენას არ ასწავლიან, ქართული ხეირიანად არ იცოდეს; არ გვიკვირს, რომ ქართულად გრამატიკულის შეცდომებით სწერდეს; არ გვიკვირს, რომ წერის დროს რუსულად ფიქრობდეს და თავის აზრს უცხო ენიდან სთარგმნიდეს,—ყველა ეს ეხლანდელ სწავლა-აღზრდის ვითარებაში მოსალოდნელი და ადვილად ასახსნელია. მაგრამ როცა ჩვენ ვხედავთ, რომ ნაწერში ყველაფერი დომხალივით არის არეული და არავითარი გარკვეული აზრი არ გამოდის, მაშინ იძულებული ვართ სულ სხვა გვარი ნაკლულევანება ვსცნოთ, რომელშიაც ენის უცოდინარობას არ უდევს ბრალი. სახელდობ, ეს იმის მომასწავებელია, რომ დამწერის ლოღიკა სუსტობს და მისი გონება და მსჯელობის ნიჭი ნაკლებად განვითარებული.

ვიმეორებთ, მთელ ახალგაზდობას ასეთი ბრალი ვერ დაედება და ჩვენც ფიქრად არ მოგვდის ასეთი ბრალდება. მაგრამ რომ ქართველ ახალგაზდობის დიდი ნაწილი როგორც ზნეობრივ შემეცნებისა, ისე გონებრივ განვითარების მხრით სიმდაბლის წარმომადგენელია,—ეს საჭიროა ყველაზე უწინ თვით ახალგაზდობამ იგრძნოს და სცნოს, რათა მეტის შეგნებითა და ცნობიერებით მოეპყრას თავის მდგომარეობას. სწავლის დრო ძვირფასი დროა, რომლის მსგავსს ახალგაზდა კაცი იშვიათად ჰპოვებს შემდეგ, როცა გამოვა ცხოვრებაში და გაებმება დახლართულ ურთიერთობათა ბადეში. აქ იმდენი საზრუნავი და სამუშაო დაჰხვდება, რომ იგი იშვიათ შემთხვევაში მოახერხებს თავის გონებრივ განვითარებისათვის იზრუნოს და ცოდნის ნაკლულევანების შესავსებად იმუშაოს. განსაკუთრებით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც ყოველ მხრით მდარე და ღატაკია, საზრდოს არ აძლევს ადამიანის გონებას, პირიქით, აწევს ჰორიზონტსა და მძანარობას. ფხიზელმა, ცოდნის მწყურვალე ადამიანმა უნდა იბრძოლოს დაუწყნარებლად, უნდა ათენოს ღამეები, უნდა ჰპაროს თავის თავს ძალისა და მოსვენების წუთები, რომ შესძლოს წინ წასვლა და მარტო თავის საკუთარ შეგნებისათვისაც კი თვალ-ყურის დევნება და ეს კი, რა თქმა უნდა, ყველა ხასიათსა და ბუნებას არ შეუძლია. ამიტომ თავის ის უჯრები,—თუ შეიძლება ასე ითქვას,—რომელიც ახალგაზდამ სწავლის დროს ცოდნით ვერ ამოავსო, ცხოვრებაში სამუდამოდ ცარიელი დარჩება ან უაზრო და უშინაარსო ჭორებით ამოივსება... ხოლო ცარიელი თავი თუმცა ადვილი სატარებელია და ამ მხრით გამოსადეგია, მაგრამ უსარგებლო და გამოუყენებელია, როცა კაცს სწადიან საქმიანობა და ცხოვრებაში რამე კვალის გავლება.

აქედან ლოღიკურად გამოდის შემდეგი აზრი: რომ იმ მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელიც მხოლოდ უშინაარსო ცხოვრებას ეწევა და აღმაცერად უცქერის თავის გონების განვითარების საქმეს, არ აქვს შეგნებული ის ზნეობრივი მოვალეობა, რომელიც აწევს მას თავის ხალხისა და სამშობლოს მიმართ. ავიღოთ მაგალითისთვის ის ნაკლი, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ: ქართული ენის უცოდინარობა. ვთქვათ, სასწავლებლებში არ ასწავლიან ქართულს, მაგრამ ნუ თუ ეს საკმარისი საბუთია, რომ 25—28 წლის კაცი, კურს-დამთავრებული, ქართულის არ მცოდნე გამოვიდეს სასწავლებლიდან ცხოვრებაში? სასწავლებელში ბევრ ისეთ რამეს არ ასწავლიან, რაც ყოველი განათლებული კაცი ვალდებულია იცოდეს. რამდენი მაგალითი ვიცით, რომ კაცს თავისით შეუსწავლია სხვა და სხვა უცხო ენები, და ნუ თუ ჩვენმა ინტელიგენტმა თავისით ვერ უნდა ისწავლოს ქართული, რომელიც მას დაბადებიდანვე ესმის, რომელიც არც უცხოა და არც უცნობი? ცხადია, ეს ისეთი კითხვაა, რომელზედაც ორგვარი პასუხი შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, რას ვამჩნევთ ნამდვილად? ქართველ სტუდენტობას ამ შემთხვევაში, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, სძინავს და სრულიადაც არ შრომობს სასწავლებელში მომხდარ პედაგოგიურ შეცდომის გასასწორებლად. ჩვენი სტუდენტობა კერძო ბარათებსაც კი არ სწერს ქართულად. ამ უკანასკნელ ხანებში შემთხვევა მქონდა ორასამდის სტუდენტების ხელით ნაწერი ბარათები მენახა და ამათში მხოლოდ ხუთიოდე ვნახე ქართულად დაწერილი... კაცი, რომელიც კერძო ბარათებსაც კი არ სწერს თავის დედა-ენაზე, განა შეეჩვევა და მოახერხებს ამ ენაზე მსჯელობასა და აზრის გამოთქმას? ცხადია, ვერა. და, აი, კიდევ ამის დამამტკიცებელ ფაქტებს წამ და უწუმ ვხედავთ ცხოვრებაში.—

ჩვენი ახალგაზრდობა მართლა არც ისე ღატაკია იდეალურ მისწრაფებით, როგორადაც გვაჩვენებს ამას ჩვენი საერთო კულტურულად ძალის სიმცირე და მოქმედების ნაყოფიერობის სიცოტავე. შეიძლება, ახალგაზრდა კაცს იდეალური

შინებულია, რომ 5 საათიდან გარედ [illegible] გამოდის. ბორჩალოს უმთავრეს გზებზე, [illegible] რის უფროსის განკარგულებით, დარაჯები დადიან, რომ ყაჩაღებმა გამვლელ-გამომვლელი არა სძარცვონ.

✦ 28 ოქტომბერს ტფილისის **გუბერნატორი ქალაქის თვით-მმართველობის წარმომადგენლებთან** ერთად წავიდა ავჭალაში წყლის მილის მოწყობილებათა დასათვალიერებლად. იქიდან გუბერნატორი გუშინვე სადახლოს გაემგზავრა.

✦ უმაღლეს მანიფესტის ძალით ქალაქ **ტფილისს ეპატია უძრავ ქონებების გადასახადთა ნედოიმკები, სულ 12,447 მან. 41 კაპ.**

✦ ფინანსთა სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს **სამრეწველო გადასახადთა შესახები კანონი.** კომისიაში მიწვეულნი არიან რუსეთის იმპერიის სახაზინო პალატების გამგენი. ტფილისის სახაზინო პალატის გამგე ბ-ნი მიხაილოვი უკვე გაემგზავრა პეტერბურგს. კომისიის სხდომები დაიწყება ნოემბრის პირველ რიცხვებში.

✦ ცხინვალის ხეობაში წელს **ცუდი მოსავალი ყოფილა.** ბევრს ეხლავე შემოაკლდა პური და იმის ნაცვლად სიმინდსა ხმარობს.

✦ როგორც იმერეთიდან გვატყობინებენ, ამას წინად **გაუტეხიათ ხოფ მუხურის ღვთის მშობლის ეკკლესია.**

✦ როგორც გვატყობინებენ, 11 ოქტომბერს, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში **გაუტეხიათ ეკკლესიები** სოფლებ აბასთუმანსა და ჯგალში და რაც რამ ფული ყოფილა ამ ეკკლესიებში, სულ წაუღიათ. ხატებისათვის ხელი არ უხლიათ.

✦ 2 ნოემბრისთვის ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით დანიშნულია სხდომა ტფილისის **გუბერნიის სასანიტარო კომისიისა.**

✦ ტფილისის ქუჩების მომკირწყლელმა კომისიამ 27 ოქტომბერს განიხილა განცხადება **„გეორგიას" ფირმისა.** ფირმამ აცნობა, შეკვეთილ 600,000 ქვის გარდა ფირმას შეუძლიან ერთ მილიონამდე ქვა მოგაწოდოთო. კომისიამ დაადგინა, შეეკითხოს ფირმის წარმომადგენელს, რამდენს მოითხოვს ქვის მოტანაში. ამავე დღეს კომისიამ განიხილა განცხადება იმ მეურმეებისა, რომელნიც ქუჩის მოსაკირწყლავად ქვას ეზიდებიან. მეურმეები სწერენ, თუ ქალაქის გადასახადისაგან არ გაგვანთავისუფლეთ, არ შეგვიძლიან მუშაობა, რადგან ისედაც მცირე სასყიდელს ვიღებთო. კომისიამ დაადგინა, არსებული გადასახადები მეურმეებს გარდახადონ ვიდრე მუშაობენ, ხოლო როცა მუ- [illegible]

✦ [illegible] ტფილისის „სობრანიე"-ში გაიმართება ქართული წარმოდგენა **„წ. კითხვის საზოგადოების" უფასო სამკითხველოების** სასარგებლოდ. წარმოადგენენ „პედაგოგებს" და „დარისპანის გასაჭირს". შემდეგ ლეკური იქნება.

✦ 27 ოქტომბერს ტფილისის ქალაქის კომისიამ ხელ-ახლა განიხილა ბავშვთათვის მზრუნველ **საზოგადოების თხოვნა სატიმზე ადგილის დათმობის** შესახებ. როგორც ვწერდით, კომისიამ დაუთმო ერთი ნაწილი, სახელდობრ 7500 ოთხ-კუთხი საჟენი. საზოგადოების თავმჯდომარემ განაცხადა, სულ თუ არ დაგვითმობთ ადგილს, ვერ გავმართავთ საბავშვო ბაღსაო. კომისიამ ბოლოს შესაძლებლად სცნო მთელის ადგილის დათმობა და ხელშეკრულობის შედგენა მიანდო სტ. ქრელიშვილს და მ. სვეშნიკოვს.

✦ ამ თვეში **გორში** უნდა მომხდარიყო ადგილობრივ ქალაქის მოურავის არჩევნები. არჩევანი არ მოხდა და 22 ნოემბრისათვის გადაიდო. კანდიდატებად ასახელებენ ექვს კაცს: პოდპოლკოვნიკ საიკოვს, ექიმს ტერ-მინასოვს, ინჟენერ ალხაზოვს, ბაქოში საქალაქო სკოლის ინსპექტორს გრიგოროშვილს, გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს დავითაშვილს და მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფს ლისოვსკის.

✦ 24 ოქტომბერს ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში დააწვინეს ერევნიდან ბათუმში მიმავალი მგზავრი, რომელიც გზაში უქიფოდ გამხდარა. ეს მგზავრი 25 ოქტომბერს გადაიცვალა. როგორც ექიმების გამოკვლევით აღმოჩნდა, ეს კაცი **ხოლერისაგან მომკვდარა.**

✦ **ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის** ზედამხედველად დაინიშნა სტავროპოლელი მღვდელი მ. ნეჟდიევი.

✦ დღეს, 30 ოქტომბერს, ტფილისიდან ვარშავას მიდის ვარშავის ციხის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ყაზბეგი.

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრმა თავის ხელ ქვეით სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მზრუნველთ მისწერა, რომ სამოსწავლო წლის დამლევამდე სპეციალურ საგნების მასწავლებლის სამსახურიდან წასვლას დიდი ზარალი მოაქვს სასწავლებლისათვის, ამიტომ დაავალეთ მასწავლებლებს, რომ 2 თვის წინად განაცხადონ თავიანთი სურვილი სამსახურიდან წასვლის შესახებაო.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1. „საქართველოს დაკარგული სოფლები და ქართველი კათოლიკენი", ზ. ჭიჭინაძისა; ფასი ორი აბაზი. 2. „ქართველ კათოლიკეთა მტერი მიხეილ თამარაშვილი და მისი შრომანი ზ. ჭიჭინაძისა; ფასი ორი შაური.

✦ სად. სოგუთბულ[illegible] ოქტომბერს მატარებელი № 256 მე-344 ვერსზე გაჩერდა, რადგან ორთქლმავალი გაფუჭდებოდა. ამის გამო მეორე ორთქლმავალი გაჰგზავნეს და წამოიღეს მატარებელი.

✦ **ქურდამირი.** 27 ოქტომბერს ცეცხლი მოეკიდა რკინის გზის სახლს, სადაც სცხოვრობდა კასირი ალასანიძე. ცეცხლი ჩააქრეს.

✦ **ალიათი.** 24 ოქტომბერს 12 საათზე მე-655 ვერსზე მიწის ზიდვის დროს დაშავდა მომუშავე ნაჯიფ-ყული-ჰუსეინ-ხან. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **ბაქო.** 26 ოქტომბერს რკინის გზის დარაჯს ვასილი ბუროვს ლიანდაგზე გადასვლის დროს მიაწყდა ორთქლმავალი, წააქცია და ზედ გადაუარა. ძლიერ დაშავებული დარაჯი ბაქოს საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **სად. მინგეჩაური.** 27 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე, ოთხი ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა საწყობს, გამოამტვრია კარები და გაიტანა რამდენიმე ბალიჩა. ამ დროს იქვე გაიარა მეისრემ ადილ-ხან-მაჰმედმა და შეამჩნია ქურდები. ამ უკანასკნელს ორჯელ რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ვერ მოარტყეს. როდესაც მეისრემ რევოლვერითვე გასცა პასუხი, ქურდები გაიქცნენ. მოპარული ბალიჩები გზაზე დაჰყარეს.

✦ ამ ორი თვის წინად, როგორც ვწერდით, მიხეილის საავადმყოფოში დააწვინეს ორი თვის მძინარი ქალი მარიამ გძელიშვილი. ქალი ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა სამკურნალოში ოთხს თვეს. ექიმების მეცადინეობით გძელიშვილი იმდენად გამოკეთდა, რომ სახლში დაბრუნდა. ქალს არ ახსოვს როგორ დაემართა ეს საქმე.

✦ 25 ოქტომბერს მატარებელმა № 6 რკინის გზის მე-289 ვერსიდან მოიყვანა ტფილისის მოქალაქე ლეიბოვიჩი, რომელსაც თავი დაშავებული ჰქონდა. ლეიბოვიჩი რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ ტფილისის გუბერნატორმა თითო თუმნით დააჯარიმა შემდეგი სახლის პატრონნი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის: მე-10-ე უბანში: ვ. ობრაზცოვი, გრ. ცერცვაძე, მ. კარიანინა, ა. ნავიკაიტისა, ს. ძევიშვილისა, გ. თორაკაშვილი, მ. ინუშკევიჩი, კ. პეტროვი, გ. კუნდუროვი, ვ. შადრინი, გ. კონდუროვი, ა. მირიანოვი, ა. ვლადიმიროვისა, გ. დონდუროვი, ბაბა-ეივაზოვი, მ. ჩაველეიშვილი, საფიზიკო ობსერვატორიის სმოტრიტელი ვეისი, სასტუმრო „ოდესსას" პატრონი ვლ. აბდუშელიშვილი, ი. გურგენოვი, ნ. იავოროვი, დ. ოსაძე, ი. მიხელი, მ. მაიფა, გრ. პიჩარო, მირზა-ტაგი-რიზაევი, პირველ უბანში: ვ. მირზოევისა, გრ. ნიკოლაევი. მე-4-ე უბანში ნ. დემენტიევისა, ბ. მეძღლიძისა, გ. ოგანეზოვი, კ. ეგიაზაროვი, არ. ოსიფოვი, პოდპოლკოვნიკი კუსიკოვი, მე-5-ე უბანში: რიზვინ ნადჯარ ოღლი, აპტაფ-მუსტაფაზამანოვი, ხალილ ზამანოვი, ხარქის ანესოვი, ს. გრიქუროვისა, მ. გოზალოვისა, ს. იულოვსკისა, ე. გამაზოვისა, დ. არაქელოვი, ი. ბარხუდაროვი, ა. კარტაშევი, ბ. ხიზანოვისა; მე-6-ე უბანში: დარია ბაღდასაროვისა, ა. მილოვი, ამბ. ხურმუდოვი ნ. გულიაევი; მე-7-ე უბანში: მ. ივანოვი, მ. სპიაროვი, მ. ოგანეზოვი, ა. სილიევი. მე-9-ე უბანში: შანშიევი და მ. პაპუაშვილი.

✦ საგუბერნიო საადმშენებლო გამგეობამ გუშინ წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, შეაკეთოს კახეთის გზა-ტკეცილიდან ნავთლუღში სამხედრო სამკურნალოს სამლოცველომდე გზა.

✦ ტფილისის საბჭოს იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც დავალებული აქვს დასაფასებელ გადასახადების პატივება, ამორჩეულ იქმნა ხმოსანი ლ. ფ. ტიგრანოვი.

53

პრესსა

ამას წინად ნიჟეგოროდის საერობო კრებაზე კ. როდისტვენსკიმ სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, რომ საჭიროა რუსეთის ხალხმა მიიღოს მონაწილეობა თავის კანონმდებლობაში.

როდისტვენსკის საპასუხოდ ხმოსანმა კარგერმა გამოაცხადა: მთავრობა წინააღმდეგია ჩვენ უფლებათა გაფართოვებისა, რადგან ჰფიქრობს, რომ ამისათვის მომზადებულნი არა ვართ. ამიტომ უნდა დავანახვოთ, რომ უკვე მომზადებულნი ვართ, თავ-დაჭერილად, თანდათანობით უნდა ვიმოქმედოთ. ახალ უფლებათა შეძენის შესახებაც თანდათან უნდა ვიფიქროთო".

რუსეთის გაზეთები მსჯელობენ კარგერის სიტყვების შესახებ და, სხვათა შორის, ამბობენ.

ისეთი დრო დადგა, როცა დუმილი შეუძლებელია. საზოგადოებრივი აზრი თავისუფლებას ითხოვს. დღეს ყველაზე მეტად მწვავეა ეს მოთხოვნილება. ხმა—მაღლად უნდა გამოითქვას ის, რაც ყველას გულში აქვს ჩახვეული. საქმე იმაშია, პირ-და-პირ უნდა გამოუცხადოს საზოგადოებამ მთავრობას თავისი გულის ნადები, თუ „თავ-დაჭერილად თან-და-თანობით" უნდა მოიქცეს. მგონი იმისი დამტკიცება არ გვჭირდება, რომ ჩვენ კარგა ხანია შევეჩვიეთ თავ-დაჭერილობას და თან-და-თანობას. საქმეს ეხლა ყველაზე მეტს უშველის პირდაპირი, გულ-წრფელი, მართალი სიტყვა. საზოგადოებასა და მთავრობის შორის არ უნდა იყოს ორჭოფი, გაუგებარი, მონური ენა. თავისი აზრის გადამალვით საზოგადოება უფრო დააბლართავს და დააბნევს საქმეს და ვერცხად ჰყოფს მთავრობის წინაშე საქმის ვითარებას.

ზოგიერთ ერობათა აზრით შუამდგომლობა უნდა აღიძრას იმის შესახებ, რომ არა მარტო შეცვლილ იქნას ადგილობრივი თვითმმართველობა, არამედ კავშირი უნდა დამყარდეს ყველა ერობათა შორის საზოგადო საკითხების განსახილველადაო.

შეიძლება ამაზე გვიპასუხონ, რომ ამგვარად ერობას სურს მისთვის შემოფარგლული მოქმედების ასპარეზს გადასცდეს,—იმისთანა საქმის განხორციელება სწადია, რომელიც მას არ შეეხება, კანონით არა აქვს საამისო უფლება მონიჭებული. მაგრამ ამგვარი პასუხი ფორმალური გარეგნული იქნება; ხშირად საჭიროება კანონზე უმტკიცესია და მკაცრად ითხოვს იმას, რაც კანონში წინ-და-წინვე არ არის აღნიშნული.

⁂

ქ. მოსკოვში არსებობს ეგრედ წოდებული „კატკოვის ლიცეი", სრული გიმნაზია ჩამის უმაღლეს საუნივერსიტეტო კურსით. ეს ლიცეი—წოდებრივი, არისტოკრატიული სასწავლებელია, რომელშიაც [illegible] წარჩინებულ თავად-აზნაურთა და უმაღლეს ჩინოსან მოხელეთა შვილები სწავლობენ. ხელოვნურად შექმნილია კატკოვის მიერ ისეთი დაწესებულება, რომელიც ამზადებს განსაკუთრებულ, ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ არსებით. ოჯახში უკვე ვიწრო წოდებრივ ინტერესების ფარგალში დამწყვდეული ბავშვი სასწავლებელშიაც იმავე წრეში ტრიალებს, მდიდარ-წარჩინებულთა შვილების მეტს ვერავის ჰხედავს, ვერავის იცნობს და, რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს ის რწმენა ჩაენერგება გულში, რომ ეს ქვეყანა „განცხრომის ქვეთა, ნებიერად აღზრდილთათვისაა შექმნილი", რომ მთელი კაცობრიობა ბუნების კანონის ძალით ორადაა დაყოფილი, წმინდა და უწმინდურ არსებად, რომ წმინდანი უწმინდურების პატრონებად არიან მოწოდებულნი, სიკვდილის დღემდის უნდა ეუფლონ და განაგონ მათი ბედ-იღბალი.

გაზეთებმა გვაუწყეს, რომ კატკოვის ლიცეის უმაღლესი კურსები უნდათ თითქმის სრულ უნივერსიტეტად გადააკეთონ. ამ ჟამად იქ მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტია, და განზრახვა აქვთ სამათემატიკო და საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტებიც მიუმატონ. ამ გვარად მოსკოვში უნდა დაარსდეს მდიდარ-წარჩინებულთათვის განსაკუთრებული უნივერსიტეტიც, იმ დროს, როცა კატკოვის ლიცეის გვერდით არსებობს რუსეთის უძველესი უნივერსიტეტი. მაგარიც ის არის, რომ ამ მეორე უნივერსიტეტისათვის საჭირო ხარჯი ხაზინამ უნდა გასწიოს,—ამბობენ რუსეთის გაზეთები,—ე. ი., ხალხს დააკისრება და არა წარჩინებულთ, რომელნიც მარტონი ისარგებლებენ ამ დაწესებულებით. სახელმწიფომ მხოლოდ იმისთვის უნდა გამოიღოს საჭირო ხარჯი, რაც ყველასათვისაა დანიშნული, საზოგადო მნიშვნელობა აქვს,—ამბობს გაზ. „რუს"-ი: ისეთი დაწესებულება კი, რომელიც მცირე წრისთვისაა დანიშნული, ამ წრემ უნდა შეინახოს თავის ხარჯითო. ეს ყველასათვის ადვილ-გასაგები ჭეშმარიტებაა.

პროექტმა წარჩინებულთათვის განსაკუთრებულ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ უკვე სახელმწიფო საბჭომდის მიაღწია და ფიქრობენ, რომ მალე განხორციელდება კიდევაც. ამ ნაირად უმაღლესი განათლება, რომელიც კაცთა შორის ძმურ ერთობას ჰქადაგებს, ხალხის ხარჯით განხეთქილებისა და განკერძოების წყაროდ უნდა გადააქციონ.

სასამართლო

თავ. თომა ციციშვილის საქმე

ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლომ მიიღო მოსასპობად საქმე თავ. თომა ციციშვილისა,

---

მისწრაფება არ აკლდეს, მაგრამ ეს მისი მისწრაფება საქმედ ვერ იქცეოდეს და რეალურ გამოხატულებას ვერ ღებულობდეს. სწორედ ასეთი მოვლენა ხშირია ჩვენს ცხოვრებაში. ხშირად შეხვდებით ჩვენში ისეთ ინტელიგენტს, რომელიც აღტაცებაში მოგიყვანთ თავისი ტკბილის და კეთილშობილურ მასლაათით: იგი მომხრეა ყოველგვარ კეთილ და მაღალ აზრებისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მომხრეობა ვერ შორდება ცარიელ სიტყვებს და ვერ პოულობს განხორციელებას. და თუ ამ კაცის პიროვნებას უფრო ჩაუკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ამ უნაყოფობის მიზეზია არა უნდილობა, არამედ მოუმზადებლობა და საკმაო გონებრივ საგზლის უქონლობა. ყოველმა ჩვენგანმა იცის ასეთი მაგალითები: ახალგაზრდა განათლებულ კაცს მოუნდომებია სამწერლო ასპარეზზე ცოტა რამის გაკეთება,—დაუწყია თარგმნა ან საგაზეთო თუ საჟურნალო წერილის წერა, მაგრამ მალე მოთმინებას უღალატნია და კალამი გვერდზე გადაუგდია. რათა, რა მიზეზით? ალბად, ბევრგვარის მიზეზით, მაგრამ ამ მიზეზებში, უეჭველია, მცირე ადგილი არ უჭირავს ქართულ ენაში კოჭლობას და ქართულ მსჯელობაში ქართველ ინტელიგენტის ხამობას. იგი ყოველთვის ფიქრობს და სწერს უცხო ენაზე და, რასაკვირველია, როცა ქართულად იწყებს წერას, აზრის გამოთქმა უჭირდება და კალამზე მუდამ მელანი უშრება. ვინ იცის, ჩვენს მწერლობას რამდენით მეტი მუშაკი ეყოლებოდა დღეს, ჩვენი ახალგაზრდობა ქართულ ენას შესწავლას რომ ასე უგულოდ და უყურადღებოდ არ ეკიდებოდეს.

და ის, რაც ენის შესახებ ვთქვით, მეტის უფლებით და საფუძვლით უნდა ითქვას ცოდნა-განათლებისა და საზოგადოდ გონების განვითარების შესახებაც. ჩვენს ახალგაზრდობას აკლია როგორც საზოგადოებრივი ინსტინქტები ანუ მამულიშვილური გრძნობა-მისწრაფება, ისე ცოდნა და გონებრივი მომზადება. ამიტომაც ჩვენს საზოგადოებრივ თვით-ცნობიერებასა და კულტურულ წარმატებას ასე ნელი და მცირე წინმსვლელობა ემჩნევა. საითაც უნდა გავიხედოთ, რა საზოგადო საქმესაც უნდა დავადგეთ, ყველაფერში ძალის ნაკლებობას ვგრძნობთ, ყველგან კაცები გვაკლია. ამავე დროს ყოველ წლივ იზრდება რიცხვი ქართველ მოსწავლეთა, თანდათან მრავლდება ქართველი ინტელიგენცია. თითქოს ეს რაოდენობითი შემატება დიდად უნდა ემჩნეოდეს და კვალს სდებდეს ჩვენს საზოგადოებრივ მდგომარეობას. ნამდვილად კი ეს შემატება უფრო რიცხვითია და ღირსებას მხრით იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც შეეფერება მის რაოდენობას.

სამწუხაროდ, ეს ასე იქნება, სანამ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობაში ფეხს არ მოიკიდებს მეტი შრომისმოყვარეობა და მამულიშვილური ცნობიერება. და ახალგაზრდობის მშრომელ და შეგნებულ ნაწილის მოვალეობას შეადგენს, გავლენა იქონიოს ამხანაგებზე და ხელი შეუწყოს მათში მოვალეობის გრძნობისა და საქმიანობის შეგნების განვითარებას.

მაგრამ ამ საქმეში მოვალეობა აწევს არა მარტო სტუდენტობას და საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობას, არამედ—ჩვენს საზოგადოებასაც. შეიძლება, კაცს დიდი ქონება და შემოსავალი არ ჰქონდეს, მაგრამ ამ შემოსავალს ისეთის თადარიგითა და წინ დახედვით ჰხარჯავდეს, რომ მაინც და მაინც გაჭირვებასა და ნაკლებობას არ გრძნობდეს. რაც უნდა მცირე გონებრივი ძალა გვქონდეს ჩვენ, ქართველებს,—ჩვენის აზრით, შესაძლებელია ეს ძალა ისე გონივრულად იქმნეს მოხმარებული, რომ ნაყოფი ბევრად მეტი გახდეს და შექმნილი სიკეთე ეხლანდელს ბევრად აღემატებოდეს. საზოგადოებას, რომელიც მეტის ყურადღებითა და გარკვეულის აზრით შეჰხედავს ამ საქმეს, შეუძლია შესამჩნევად გაადიდოს არსებულ ძალ-ღონის საზოგადოებრივი ნაყოფიერება და ბარაქიანობა.

ჯერ კიდევ ჰეგელმა სთქვა, რომ რაოდენობითი განსხვავება თვისებითად გადაიქცევაო. სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ ქართველებში ინტელიგენტთა რიცხვი თანდათან მრავლდება. მართალია, ინტელიგენციის წევრნი, თავის მისწრაფებითა და მიდრეკილებით, ერთმანეთისაგან ძალიან განირჩევიან და უმრავლესობა სრულიად დაპყრობილია თავის პირად ცხოვრების ანგარიშით და ინტერესებით; მაგრამ მაინც არის უმცირესობა, რომელსაც მარტო თავის თავი არ ახსოვს, არამედ საქვეყნო საქმეებიც ეინტერესება და სახალხო საჭიროებათათვის მუშაობა ეხალისება. რამდენადაც ინტელიგენციის საერთო რიცხვი მატულობს და იზრდება, იმდენადვე უნდა იზრდებოდეს ამგვარ ელემენტთა რაოდენობაც. რაც უნდა დაქვეითებული იყოს დღევანდელი ახალგაზრდობა, მასში ურევიან მაინც ისეთებიც, რომელნიც მაღალ იდეალებს მოკლებულნი არ არიან, ხოლო თუ ისინი თავის სურვილის თანახმად მუშაობასა და მოქმედებას ვერ ახერხებენ, ამის მიზეზია ხშირად ცხოვრების სხვა და-სხვა გარემოება, რომელიც წინ ეღობება მათ და უშლის ჩვენი ხალხისათვის ნაყოფიერ შრომა-მოღვაწეობას. და ქართველ საზოგადოების შეგნებულ ნაწილის მოვალეობა, ახალგაზრდობის ამგვარ ელემენტებს მეტის ყურადღებით მოეპყრას, სადაც კი შეიძლება, ჩამოაცილოს დაბრკოლება და ქართველ ერის სასარგებლოდ გამოიყენოს მათი შრომის-მოყვარეობა და საზოგადოებრივი მიდრეკილება.

ჩვენ ჯერ ისეთ სასურველ მდგომარეობაში არა ვართ, რომ შეგვეძლოს, საზოგადო ინტერესებისათვის მომუშავეს მივცეთ საკმაო სასყიდელი და თავის რჩენის საშუალება. დღეს დღეობით ვერც მწერლობა, ვერ თეატრი და ვერ სხვა რაიმე ეროვნული დაწესებულება ვერ აძლევს მუშაკს არსებობისათვის საჭირო ნივთიერ ღონისძიებას. ამიტომ ყოველი ინტელიგენტი, რომელსაც არ აქვს საკმაო მამა-პაპეული ქონება, იძულებულია სამსახური, სასყიდლიანი სამუშაო ეძიოს და ამგვარად თავისი ეკონომიური მდგომარეობა ასე თუ ისე მოაწყოს.

ამ მხრით ქართველ ინტელიგენციისთვის ძალიან ცუდი პირობები არის დღეს ჩვენში. სახელმწიფო სამსახური, სადაც წინად ქართველს ნაკლები დაბრკოლება ჰხვდებოდა, დღეს თითქმის სრულიად დაიკეტა მისთვის. თქვენ შეგიძლიათ აიღოთ, მაგ., წრევანდელი და 15 წლის წინანდელი კავკასიის კალენდარი და ერთმანეთს შეადაროთ. ამ კალენდარში დაბეჭდილია სახელი და გვარები სხვა-და-სხვა დაწესებულებებში მყოფ მოხელეებისა და გვარების მიხედვით შეგიძლიათ გაიგოთ, თუ როგორ მცირდება სახელმწიფო სამსახურში ქართველი ელემენტი. თუ მას ადგილს აძლევენ,—უფრო საქართველოს გარედ, კავკასიისა და რუსეთის გუბერნიებში.

ადგილობრივი ვაჭრობა და მრეწველობა ქართველების ხელში არ არის. თუ რამ კერძო დაწესებულებაა, ყველა უცხო ხალხს ეკუთვნის, რომელიც ადგილებზე თავისიანებს აყენებს და ლუკმა პურის მოპოების სახსარს აძლევს.

რა უნდა ჰქნას ასეთ გარემოებაში ქართველმა ინტელიგენტმა, რომელსაც საზოგადო სამსახური სწყურიან, მაგრამ, ვითარცა ყოველ ხორციელ ადამიანს, ჭამა-სმა და თავის რჩენა უნდა. იგი იძულებულია დღე და ღამ შიმშილს ებრძოლოს და მუდამ ლუკმა-პურის მოსაპოვებლად იწვალოს; ან თავი უნდა დაანებოს სამშობლოს და სადმე შორეულ ადგილას გადაიკარგოს. ორსავე შემთხვევაში ცხოვრების ულმობელი სიმკაცრე სწყვეტს და აშრობს მას ადგილობრივ მუშაკთა მცირე გუნდს, უხლუნგებს წმინდა გრძნობას და უქარწყლებს იდეალურ მისწრაფებას. კაცი, რომელიც თავისი საზოგადოებრივი მიმართულებითა და გონებრივ მომზადებით შეეძლებოდა მშრომელი და სასარგებლო მუშაკი გამხდარიყო, ჩვენს საზოგადოებაში, ილევა და უნაყოფოდ იკარგება ცხოვრების პროზაში. ზოგი იმდენ ენერგიასა და სულის სიძლიერეს გამოიჩენს, რომ ცხოვრებას არ გაუთელინება და თავის იდეალურ მისწრაფებას არ გამოესალმება, მაგრამ ვინ იცის, რამდენად უფრო ნაყოფიერი იქნებოდა ამგვარ სულით ღონიერ პირთა შრომა-მოღვაწეობა, რომ მათ არ სდევნოდეთ ცხოვრებაში ლუკმა-პურის მოსაპოვებლად სასტიკი და შეუფერებელი ბრძოლა.

ამ დღეებში დაიბეჭდა ერთ ტომად სრული კრებული მგოსანი ნინოშვილის თხზულებათა. აქ მოქცეულია ამ მწერლის მოკლე ბიოგრაფიაც. „ათი დღე,—სწერს ერთ ადგილას თვითონ ნინოშვილი,—ვიმუშავე პრისტანზე ვიღაც სტურთოთან. ქისტებს ვზიდავდი, ვწყობდი უთოებში, ვჭედავდი და ვწყობდი დანიშნულ ადგილს. მეტად მძიმე სამუშავარი იყო ჩემთვის. დღეში მაძლევდნენ ათ შაურს. ორი დღე ვიმუშავე ბერგარდტის ზავოდში, 1889—1890 წწ. ვმუშაობდი როტშილდის ზავოდში (ქისტებს ვწყობდი უთოებში და ვჭედავდი) დღეში მანეთად. 1889 წელს ბათუმში ზამთარი მეტად ცუდი, ქარიან-წვიმიანი იყო; მე დაცვეთილი საზამთრო ტანისამოსი მქონდა. უნდა ავმდგარიყავ დილის ოთხ საათზე, გამევლო კარგა დიდი მანძილი და ამ საშინელ დარში მივსულიყავ ზავოდში; ხან ზავოდის კარი დაკეტილი დამხვდებოდა და უნდა მეცადნა გარედ." „ერთი წლის განმავლობაში—სწერს ნინოშვილის ამხანაგი—სუსტ ძარღვებიანი სხეული მწერლისა იტანდა ქარხნის მუშის შრომა-ჯაფას თანაბრად ბრგე და ზორბა რაჭველებისა და აზრუმელ სომხებისა: ის ხან ფიცრებს ეზიდებოდა ქარხნის ერთ საწყობიდან მეორეში, ხან ნავთის ხის ყუთს სჭედდა, რომლის მუშაობის დროსაც მისი სუსტი და გამხდარი ხელები სკდებოდა და სისხლი სდიოდა, რის გამო მუდამ რამდენიმე თითი შეხვეული ჰქონდა; ბინადრობდა ბათუმის მუშების პაწია სადგომში,—თითქმის ერთ-ნახევარ საჟენს არ გადაამეტებს არც სიგანე-სიგრძით და არც სიმაღლით ბათომის ნავთის ქარხნების გარშემო მდებარე მუშის სადგომები. ერთ პაწია ოთახში 7—8 და არაიშვიათად არა ნაკლებ 5—6 მუშასთან ერთად ეძინა მას. სადგომი ოთახი, აშკარაა, სველი, ნოტიო და მუდამ ცივი იყო, რადგან ზამთარში არ ათბობდნენ, მაგრამ უფრო უარესი იყო აყროლებული ჰაერი, ბევრ კაცის ერთ პაწია ოთახში მოთავსებისაგან, რის გამო, პაწია ოთახის შესაფერი, ჭრიტინებების მსგავსი ფანჯრები სულ მუდამ ღია უნდა ყოფილიყო ზამთარ ზაფხულ, რომ საძაგელ სუნიან ჰაერს არ დაეხრჩო ძილის დროს კაცები". შემდეგ ნინოშვილი შავი ქვის ერთ კანტორაში მსახურობდა. „მე მგონია,—ამბობს თვითონ მწერალი,—ჩემი ჯანი და სიმთელე დავღუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით. ამ დროიდან შემეხვია ავადმყოფობა და მას შემდეგ იშვიათად ვყოფილვარ კარგად, თუმცადა წინედ იშვიათად ვიცოდი ავადმყოფობაო".

ასეთი წვალება გამოიარა ცხოვრებაში ამ გატანჯულმა მწერალმა, რომელმაც, მიუხედავად ამისა, ძვირფასი ნაწარმოებნი შესძინა ჩვენს მწერლობას. ვინ იცის,—კიდევ ვეკითხავთ ჩვენ,—თუ რამდენად უფრო ნაყოფიერი იქნებოდა ამ მწერლის მოღვაწეობა, რომ ამა თუ იმ „ძლიერ-მოსილ" ქართველს მისთვის სადმე ბანკში ან სხვა რომელსამე დაწესებულებაში რაიმე ადგილი მიეცა და ამგვარად მწერლის ორგანიზმისათვის ავადმყოფობა და უდროვოდ მოშლა აეცდინა?

მაგრამ ასეთი საზოგადოებრივი აზრით ხელმძღვანელობა ჩვენ არ გვიწერია. ჩვენ, ქართველებს, არ გვაქვს ბევრი ისეთი დაწესებულება, სადაც შეიძლებოდეს ინტელიგენტ ძალთა მოთავსება—დაბინავება. მაგრამ რაც გვაქვს, იქაც არ ვიცით ხალხის არჩევა და საზოგადო სარგებლობის პრინციპით ხელმძღვანელობა. ასეთ დაწესებულებებში გამეფებულია უსაზღვრო „ბიძი-ადობა" და იქ მოსაწონი და მისაღებიც ისაა, ვისაც წელში მოხრა და მუდამ უაზროდ თავის კანტური არ ეზარება. განკებ ინდივიდებს მოაგროვებენ და თბილ ადგილებზე დასვამენ, ოღონდ ამათ ესა თუ ის „ძლიერი" პირი იცნობდეს და ყურ-მოჭრილ ყმებივით ფეხ-ქვეშ გაეგონ: ვინ მოსთვლის, რამდენი ფული და საზოგადოებისთვის ყოვლად უსარგებლო ადამიანი პოულობს ამ დაწესებულებებში ბინას და გემრიელ ადგილ ლუკმას. ხოლო ისეთ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც აქვთ ძალ-ღონე, ცოდნა, დამოუკიდებელი რწმენა-შეხედულება და, გარდა სამსახურის მოვალეობის შესრულებისა, შეუძლიანთ ჩვენს საზოგადო საქმეებში აქტიურ მონაწილეობის მიღება და თავისი მუშაობით ხალხისთვის სარგებლობის მოტანა,—ასეთ დაწესებულებათა კარები ყოველთვის დახშულია და იქაური საქმე—სამსახური მიუწდომელია. დაწესებულებათა მეთაურთ არ სურთ შეწუხება „გამაძღრის დამლა" და ახალ ცოცხალ ადამიანთა დაახლოვება.

და ამას შემდეგ თქვენ გიკვირთ, რომ ის მცირედი გონებრივი ძალაც კი, რომელსაც ქართველ ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი შეიცავს, ცხოვრების ულმობელობით აქეთ-იქით იფანტება და ჩვენი კულტურული განვითარება წინ სწრაფად და მარდად ვერ მიექანება? აქ გასაკვირი არაფერია.

ჩვენ სხვა რაში ვიცით დაზოგვა და მომჭირნეობა, რომ შრომის ძალ-ღონის დაზოგვა და მისი გონივრულად გამოყენება ვიცოდეთ.

შევიგნებთ კი ოდესმე, რომ ამ შემთხვევაში თადარიგიანს და საზოგადოებრივ პრინციპთან შეთანხმებულ მოქმედებას მცირე მნიშვნელობა არა აქვს ჩვენი ერის კულტურულ წარმატებისათვის?

ვიმედოვნებთ მაინც..

ფ. გოგიჩაიშვილი.

რომელსაც თავისის ცოლის მოკვლა ჰბრალდებოდა. საქმე ბრალდებულის სიკვდილის გამო მოისპო. როგორც გამომძიებლის მოხსენებიდანა სჩანს, მკვლელობა ასე მომხდარა. წინადაც ცოლ-ქმარს ხშირად მოსდიოდათ თურმე უსიამოვნება. მკვლელობის ღამეს ვახშმად მსხდარან ცოლ-ქმარი და თომას ქვისლი ქუმსი მაღრაძე. ლაპარაკი ჩამოვარდნილა მოურავის ოსმან გოძიევის მამულში გაგზავნის შესახებ. ქმარს უთქვამს, გოძიევი უნდა დავითხოვო, რადგან მამულს ყურადღებას არ აქცევსო. ესევე ურჩევია თომასათვის ქვისლს. ცოლს საყვედურით უთქვამს: ახირებული კაცი ხარ; ეგრე იცი ყოველთვის: ჩემგან დაქირავებულ მოსამსახურეს არ დააყენებ და უმიზეზოდ ითხოვო. ამაზე თომას უპასუხნია: რად ესარჩლები, შენი საყვარელი ხომ არ არისო. ამით გაჯავრებულ ქალს უთქვამს, რაკი ცილსა მწამებ, ერთხელ მართლაც ჩავიდენ მაგისთანა საქმესაო. ცოტა ხანს შემდეგ ცოლ-ქმარი ერთად საწოლ ოთახში წასულან. გასულა სულ რამდენიმე წამი და ქუმსი მაღრაძეს შემოსმენია ქალის საშინელი წივილი. გაუღია კარები და დაუნახავს იატაკზე სისხლის მორევში მცურავი ყელ გამოჭრილი და ქვედა ყბა ჩამოჭრილი ქალი. ციციშვილი მაშინვე შემჯდარა ცხენზე და ნაშუაღამევის 1 საათზედ ბოქაულთან წასულა.

რუსეთის ქრონიკა

✦ რუსეთში, როგორც ვიცით, არსებობს ლიტერატორთა და მეცნიერთა ურთიერთ დამხმარებელი კასსა. ეხლა ხან ამ კასსას ნ. ა. ფირსოვმა უანდერძა 130 ათასი მანეთი.

✦ როგორც „რუს. ვედ.“-ს სწერენ, ახალ მინისტრს სვიატოპოლკ-მირსკის გაუნთავისუფლებია არხანგელსკის გუბერნიაში გადაკარგული ინჟენერ-მექანიკოსი ბ. ნ. სმირნოვი. სმირნოვი გადაასახლეს ხუთის წლით. მიზეზი ის იყო, რომ იგი თავმჯდომარეობდა სტუდენტთა ყრილობაზე მოსკოვში. ამავე ყრილობაზე მონაწილეობის მიღებისთვის გადაასახლეს აგრეთვე ნაფიცი ვექილი ვოლკენშტეინი. ეხლა ესეც გაანთავისუფლეს.

✦ ენისეის გუბერნიის გლეხთათვის ეხლა ხან ახალი განკარგულებანი გამოუციათ. ეს განკარგულებები ეხება ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულთ. ახალ წესების ძალით, გლეხებს ნება არა აქვთ მიაქირავონ გადასახლებულთ ცხენები ან ნავები სასეირნოთ. არც თოფები უნდა ათხოვონ სანადიროდ. ერთ სტანიცაში ურიადნიკი მისულა გადასახლებულთა სადგომების გასაჩხრეკად და იმის გასაგებად, თოფები ხომ არა აქვთო. როდესაც თოფები ვერ იპოვნა, ურიადნიკმა იმ გლეხების სახლები გაჩხრიკა, სადაც გადასახლებულნი სცხოვრობდნენ. ექვსი თოფი უპოვნია და ექვსივე თან წაუღია. („რუს. ვ.“).

✦ 24 ოქტომბერს, როგორც დეპეშებიდან იციან მკითხველებმა, გარდაიცვალა ჟურნალ „ნივა“-ს გამომცემელი ა. მარქსი. მარქსს დარჩენია 6 მილიონის შეძლება. ეს ამოდენა ფული გამომცემლობით არის შეძენილი. მარტო ხელთ-ნაწერი, რომელიც ჯერ არ არის გამოცემული, ნახევარ მილიონისაა თურმე.

✦ დმიტროვის მაზრიდან (ორიოლ. გუბ.) სწერენ გაზ. „რუს“-ს, რომ ერთმა ადგილობრივმა კონ-შემოკრებილმა მემამულემ აუკრძალა ხალხს თავის სახლის ახლოს გზაზე სიარული; ეს გზა ეკკლესიისკენ მიდის. ეს განკარგულება არ შეუტყვია ერთ იქაურ ყრუ-მუნჯ გლეხს და კვირა დღეს ეკკლესიაში წასულა ამ სასტიკად აკრძალულის გზით. მემამულეს დაუნახავს ეს „თავხედი“ გლეხი და სამართალში მიუცია კადნიერებისათვის. საერობო უფროსმა საბრალო ყრუ-მუნჯი დამნაშავედ იცნო და სასჯელი გადაუწყვიტა. გლეხმა განასაჩივრა საერობო უფროსის დადგენილება. ამ დროს უცბად, გუბერნატორის ბრძანებით, ყრუ-მუნჯი დამნაშავე შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს. იმის ნათესავები, ადგილობრივ ვექილის რჩევით, პეტერბურგს წავიდნენ მინისტრთან საჩივლელად. ამ დროს შინაგან საქმეთა მინისტრად პლევე იყო. პლევემ მოისმინა დასჯილ გლეხის ნათესავების საჩივარი და უთხრა, თავის დღეში არ დავიჯერებ, რომ გუბერნატორს ამისთანა მცირე დანაშაულის გამო გლეხის დაპატიმრება გადაეწყვიტოსო. დასჯილის ნათესავების საჩივარი უყურადღებოდ იქნა დატოვებული და საბრალო ყრუ-მუნჯი მხოლოდ ეხლახანს გაანთავისუფლეს საპატიმროდან.

✦ ახალ ათონიდან სწერენ გაზ. „პეტ. ვედ.“-ს, რომ სინოდის განკარგულების მიუხედავად, ადგილობრივი ბერები ყოველ-ნაირ საშუალებას ხმარობენ, რომ ღარიბ ხალხს, სალოცავად ჩამოსულს, ფულები დასტყუონ.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
29 ოქტომბერი

სუვალკი. დილის 9 საათზე მობრძანდა სუვალკს ხელმწიფე იმპერატორი, დიდის მთავრით მიხეილ ალექსანდრეს ძითა და ამალით. ხელმწიფემ მიიღო გერმანიის იმპერატორის წარმომადგენლები და დეპუტაციები, დაათვალიერა ჯარები, დალოცა ხატებით და გამარჯვება უსურვა. შემდეგ ხელმწიფე მიბრძანდა მართლმადიდებელთა სობორში იქიდან სადგურზე დაბრუნდა და წაბრძანდა მატარებლით.

სტამბოლი, 28 ოქტომბერი. გაიარა დობროვოლნი ფლოტის გემმა „პეტერბურგ“-მა და ხმელთა შუა ზღვაში გამართა.

კანეა. ჯავშნიანი გემები „სისოი ველიკი“ და „ნავარინ“-ი, კრეისერები „ალმაზ“-ი და „იზუმრუდ“-ი, დობროვოლნი ფლოტის გემი „იაროსლავლ“-ი და გერმანიის გემი „ხერსულია“ სამხრეთ ნავთსადგურში დგანან. მივიდნენ სუდს 8 კონტრ-ნაღმიან გემი, 5 კრეისერი და 7 რუსის ტრანსპორტი.

ლონდონი („რეიტერი“). 27 ოქტომბერს ოკუს არმიიდან იუწყებიან, რომ რუსებმა ღამე რამდენიმეჯერ თავ-გამოდებით იერიში მიიტანეს ლაშუტუსა და ლინშიუპზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

ჩიფუ („რეიტერი“). სუნგშუახანის საწყობები ყუმბარებმა გაანადგურეს. ამოსწყვიტეს მეცხოვნე ჯარის ნახევარი, 160 კაცი. მოსული ჩინელები ამბობენ, დალნიში ტრანსპორტების ფლოტილია დგას, რომლიდან ნავებით გაჰყავთ ჯარი ნაპირზე.

ტოკიო. („რეიტერი“). მიკადომ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლითაც მინდობთ მთავრობას გამოსცეს 12 მილიონ გირვანქა სტერლინგი. სესხის პირობებმა მეტად გააკვირვეს ფინანსიური წრეები, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ მეორე სესხი პირველზე უფრო შეღავათიანი იქნებოდა.

ლონდონი. ოკუს არმიაში მყოფი „რეიტ. სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება 29 ოქტომბერს, რომ რუსების რაზმებს ოთხშაბათს ღამით იაპონელთა მოწინავე რაზმებთან შეტაკება მოუხდა.

მუკდენი. ჩინელები იტყობინებიან, რომ იაპონელთა არმია უკანიდან სრულებით არ არის გამაგრებული; ინკოუში, ტაშიჩაოში, ხაიჩენსა და კაჯოუში იმყოფებიან მხოლოდ უმნიშვნელო გარნიზონები. ლიაოიანს ძლიერ ამაგრებენ. მიაქვთ საალყო ზარბაზნები.

ამსტერდამი. რუსეთის კონსულმა 27 ათასი ფლორინი მიიღო, რუსეთის წითელ-ჯვრის სასარგებლოდ.

კოშკა. 27 ოქტომბერს დილას სადგურ ტურმონტაზე, ნოვო-ალექსანდროვის მაზრისა, სადაც სამეფო მატარებელი გაჩერდა ღამის გასათევად, იმის იმპერატორებით უდიდებულესობას წარუდგა წოდებათა დეპუტაცია გუბერნატორის მეთაურობით.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
29 ოქტომბერი

შანხაი, 28 ოქტომბერი (სააგენტოს საკუთარ კორესპონდენტისაგან). ცენზურა მეტად სასტიკად იქცევა. იაპონიის ჯარში მყოფი კორრესპონდენტები ისე შეავიწროვეს, რომ უკანასკნელთ პროტესტი გამოაცხადეს. კორესპონდენტების წასვლამ, ლიაოიანის ბრძოლის მნიშვნელობის შემცირებამ და იაპონიის ქაღალდების ფასის დაცემამ—ყველა ამან იაპონელებს კილო გამოაცვლევინა. საბჭომ, რომელსაც დაესწრნენ იმპერატორი და მარკიზი იამაგატა, დაადგინა, დეპეშით დაავალოს ოიამას ზომები მიიღოს კორესპონდენტთა საქმის გამო. ინგლისისა და ამერიკის კორესპონდენტებს ორდენები ებოძათ. მათ უარი განაცხადეს. შანხაის გაზეთები განცხადებებს აკრავდნენ და სწერდნენ, რუსის ჯარი სულ ერთიან განადგურდა, დაიხოცა 90 ათასი კაცი, დანარჩენნი გაიქცნენ დასტოვეს ზარბაზნები, გაანადგურეს მიშჩენკოს რაზმი, პეტერბურგსა და მთელ რუსეთში სასოწარკვეთილებას მიეცნენო. თანდა-თან ამ კილოს უკლებდნენ და ეხლა სწერენ: რუსებმა თავიანთი პოზიციები შეინარჩუნეს, იაპონელებმა 14 ზარბაზანი დაჰკარგეს და ძალზე იზარალესო. მოსავალი სამაგალითოა იაპონიაში, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც სიძვირეა. აგვისტოში უმთავრესს სურსათის ფასმა აიწია 2%, ხოლო სექტემბერში 4%-ით.

ვლადივოსტოკი, 28 ოქტომბერი. რადგან პრიამურის ოლქის საავადმყოფოები სავსეა ავადმყოფებით, ჯარის უფროსმა საპიროდ სცნო 40% გადიდებულ იქმნას ადგილების რიცხვი სამხედრო უწყებისა და წითელ ჯვრის საავადმყოფოებში.

გენერალ ლინევიჩს, რომელიც 23 ოქტომბერს ხაბაროვსკში წავიდა, ყველგან დიდის ამბით ეგებებოდა ჯარი და ხალხი. განსაკუთრებით გულ-წრფელად გაცილეს ნიკოლსკიდან.

მდინარეები იყინება. ცივი ამინდებია. ნიკოლსკსა და ვლადივოსტოკში თოვლი მოვიდა.

კანეა, 28 ოქტომბერი („დეილი მეილი“). უტსის ბუხტაში მოვიდნენ რუსის ჯავშნიანი გემები „სისოი ველიკი“ და „ნავარინი“, ორი კრეისერი, დობროვოლნი ფლოტის გემი „იაროსლავი“ და ნახშირის მზიდავი. ესკადრა დაუბრკოლებლივ ნახშირით იტვირთება. „სვეტლანას“ კაპიტანმა განაცხადა, ტანჟერში ორმა ინჟენერმა მითხრა, მეთევზეთა გემებს შორის მე თვითონ ვნახე ნაღმიანი გემი და გავიგონე ხმა ნაღმის გასროლისაო. ნაღმიანი გემი შეეცის ბ ქენერი წინად გუ არტილერიის აფიცრად იყო და ეხლა მოსდევდა ნახშირის ტრანსპორტს, რომელიც რუსის ესკადრას ახლდა.

ტიანძინი, 28 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი იუწყება: გუშინ, როდესაც ჩიფუდან მოვდიოდი, მიაოტაოს კუნძულებს ჩრდილოეთით ჩემი გემი დაეწია იაპონიის კრეისერს „ჩიოდას“. სამი კრეისერი პორტ-არტურის დასავლეთით მოსჩანდა. რამდენიმე საკანონირო გემი ნაპირის მახლობლად იყო. იაპონიის გემები მუდამ ხმელეთს მახლობლად არიან.

ტოკიო, 28 ოქტომბერი. გენერალი ნოგი ოფიციალურად იუწყება, რომ კვირას, როდესაც პორტ-არტურს ყუმბარებს ვუშენდით, ქალაქის ჩრდილოეთით ცეცხლი წაეკიდა თოფხანას; იმავე დღეს სუნშუშანის სიმაგრეში აფეთქდა საწყობი.

ტოკიო, 27 ოქტომბერი. დღეს კაცურა, ოპოზიციის მეთაური მარკიზი საიონჯი და სხვანი შეიკრიბნენ სათათბიროდ; ამათ უნდა იზრუნონ, რომ მომავალმა საპარლამენტო სესსიამ დაუბრკოლებლივ მიიღოს სამხედრო ბიუჯეტი.

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშები, მთავარ შტაბს 28 ოქტომბერს: „26 ოქტომბრის ღამეს მარცხენა ფრთაზე ჩვენები მოულოდნელად დაესხნენ იაპონიის სადარაჯოს, სადაც შვიდი დარაგუნი იყო. სამი მოჰკლეს. იმათი იარაღი, ნივთები და ქაღალდები თან წამოიღეს. 27 ოქტომბერს ჩვენ მარჯვენა ფრთაზე სამი რაზმი დასაზვერად წავიდა სანდეპუსკენ იაპონელთა ჯარის მდებარეობის გასაგებად. რაზმების მოულოდნელმა მისვლამ ისე იმოქმედა მტრის დარაჯებზე, რომ ისინი სოფლებში დაიმალნენ. ჩვენი რაზმები ამის გამო სანდეპუმდის მივიდნენ, ნახეს იქ იაპონელთა კარგა ბლომა ჯარი და უზარალოდ უკანვე დაბრუნდნენ. ამ დროს იაპონელთა ორმა როტამ განიზრახა სოფელ ერტხაიძიდან ჩვენ ნახევარ სოტნის განდევნა. იაპონელთა როტები ერტხაიძემდე მივიდნენ, მაგრამ ამ დროს უკან დაინახეს ჩვენი მზვერავთა რაზმი, რომელიც სანდეპუდან ბრუნდებოდა. ჩვენის ყიზახების დანახვამ ხელი აიღებინა იაპონელებს თავიანთ განზრახვაზე. იაპონელები უკან დაბრუნდნენ.

ჩიფუ, 29 ოქტომბერი. „დეილი ექსპრესს“ ატყობინებენ, უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში მეტი ჯონკა მოვიდა, ვიდრე წინა 6 კვირას.

შანხაი, („რეიტერ.“). გამოაცხადეს, სეულ-ფუზანის რკინის გზის აშენება დამთავრებულიაო. გზა 28 ნოემბერს გაიხსნება. ტოკიოდან სეულამდე 50 საათს მოუნდებიან.

ჩიფუ, 28 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ, იაპონელები პორტ-არტურთან უმთავრესად ჩრდილოეთ ფორტებს უშენენ ზარბაზანს. თუ ამ ფორტებს აიღებენ, იაპონელები მარჯვე პოზიციებს ჩაიგდებენ ხელში არტილერიისათვის. წინად დასახელებულ ფორტებს გარდა, იაპონელებმა ერთი სხვა ფორტიც დაიზიანეს დალნის გზის პირად, ჩინელების უბანს ახლოს; ამ ფორტს ზარბაზნები დაუმიზნეს; სუნშუშანის ფორტს ჯავშანი გაუნგრიეს ყუმბარებით. იაპონელები დიდ კაზარმების აშენებას განაგრძობენ ზამთარში ჯარის დასაბინავებლად.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
28 ოქტომბერი

კენიგსბერგი, 28 ოქტომბერი. პირველ არმიის კორპუსის უფროსი გენერალი ჰოლდერი და აღმოსავლეთ პრუსიის პროვინციის პრეზიდენტი მოლტკე გუშინ სუვალკში წავიდნენ; იმპერატორ ვილჰელმის მინდობილებით სალამი უნდა მოახსენონ რუსეთის იმპერატორს.

კიევი. საერო განათლების მინისტრმა ინახულა წმ. ვლადიმირის საქალაქო სასწავლებელი და უნივერსიტეტი.

29 ოქტომბერი.

პარიზი. კანონ-პროექტში სახელმწიფოსა და ეკკლესიის განცალკევების შესახებ მთავრობას მოჰყავს პალატის საყურადღებოთ ის გარემოება, რომ სასულიერო მთავრობა ყოველ დღე სისტემატიურად არღვევს კონკორდატს და ამიტომ მთავრობა შესაძლებლად არ სცნობს ამნაირ დამოკიდებულების განგრძობას. შემდეგ მთავრობა განმარტავს, თუ რანაირად უნდა იქნას განხორციელებული ახალი კანონ-პროექტი.

მოსკოვი. 29 ოქტომბერი. დასრულდა საქმის განხილვა ვაჭრების ალექსანდროვისა და ტურლანოვის შესახებ, რომლებმაც დოღში გამოსცვალეს ცხენი ჯილდოს მისაღებად. ბრალდებულნი გაამართლეს.

ტროიცკოსავსკი. მონგოლები იუწყებიან, გიგენის გასვლის შესახებ ტიბეტიდან ჯანჩინში, სადაც იგი უნდა დაესწროს მონგოლიის თავადთა განზრახულ კრებას, რომელზედაც უნდა გაირჩეს საკითხები მონგოლიისა და ტიბეტის შესახებ. დალაი-ლამის დასახვედრად ურგინის გიგენმა საპატიო მანდილოსანთა და ჩინეთ-მონგოლთა მოხელეთაგან შემდგარი დეპუტაცია გაგზავნა და 22 ოქტომბერს თვითონაც წავიდა დიდის ამალით.

ბერლ ნისტრს

ბერდიანსკი, ოქტომბერი. ახალშენ პრიშიბში ძარცვის მიზეზით მოჰკლეს პასტორი შეუმანი, იმისი ცოლი და ქალიშვილი. მოსამსახურე დაჭრილია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 26 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,85
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,25
ბერლინისაზე „	46,25
პარიზისაზე „	37,52 1/2
ბირჟის დისკონტი	6-7 1/2%
4% სახელმწიფო რენტა	91 7/8 გაყ
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	416
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	318
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266 1/4
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4 1/2% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ	89 5/8
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	240 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ალხო ბიბლიოთეკები

-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

ახალი გახსნილი
სასტუმრო **არკადია** ნომრებით
(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, [illegible] არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილას და 5—12 ს. საღ. (88—52—64)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (ჩ.—176—1)

ქუთაისში ფრანგების ქუჩაზე, საეკლესიო სახლებში 15 ოქტომბრიდან გაიხსნა საუკეთესო **რესტორანი,** რვა ოთახით სტუმრებისთვის, საუკეთესო სამზარეულოთი ყოველ გვარი საჭმელებით.

აქვე შეიძლება ცხენების დაბმა, რისთვისაც მომზადებულია კარგათ მოწყობილი თავლა. (4—6.—3)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—შელანიასი	—	2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	6
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	1
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	6
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	5
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	2
ხენთი რათფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	1	-

ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოების

„შრომ“-ის

საბჭოს პატივი აქვს აუწყოს თავის წევრთ და აგრეთვე ყველას, ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად და ან აინტერესებს ამ საზოგადოების გარემოების შეტყობა, რომ კვირას, 7 ნოემბერს ამა წელს დილის 10 1/2 საათზედ დანიშნულია **საზოგადოების კრება** ქუთაისის ქალაქის საბჭოს დარბაზში. (6.—4)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყმაწვილთათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიური ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—ჰ.16) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала **„НАКАДУЛИ“**

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

რუჟვის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტრიკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნების. **ტელეფონი № 679.** (0—179)

Дозволено цензурою, 29 октября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—სა“.

Электроп. „Груз. Изд.—Тва“.